ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 12 ოქტომბერი, 2017 №242 (7476) ფასი: 50 თეთრი



ლიკა ქავჟარაძე საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს გვ.4

10 ოქტომბრიდან ქართული ჰაგიოგრაფია

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



# „დატოვოს ივანიშვილმა მიწის ნაკვეთი ქალაქის საკუთრებაში და ისე გააკეთოს ავტოსადგომი. ვინმე უშლის?!“



გვ.4

მამუკა გამყრელიძე: „დეპუტატის საკრებულოში არშეშვება კანონის დარღვევაა“



## კოტე იოსელიანი: „თავს დამესხა 15 კაცი და ყველას ჰქონდა მელორ ვაჩნაძის სახე“ გვ.2



## მეუფე სერაფიმე მონასტერში გაუშვეს გვ.3



საპატრიარქო ციანიდის საქმეს თავად გამოიძიებს

## ვახტანგ ძაბირაძე: „თუ მეორე ტურში ელისაშვილი გავა, ნაციონალები მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსს დაკარგავენ“ გვ.2



### სამართალი გვ.7

აფგან მუხთარლის მეუღლემ ლეილა მუსტაფაევამ შვილთან ერთად საქართველო დატოვა





ენმ-ის კიდევ 11 წევრი სასამართლოს მომდევნო სხდომამდე გათავისუფლდა




თბილისის სასამართლომ ექიმ-ანესთეზიოლოგს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

### ეკონომიკა გვ.6



ერთ ლარად დამტკიცებულ მიწაზე ინვესტიციის პირობის დარღვევისთვის ჯარიმა 100 ლარია



ანაკლიის პორტის მშენებლობა იწყება

სესხის ეროვნულ ვალუტაში გაუცემლობის შემთხვევაში სესხის გამცემი 1.000 ლარით დაჯარიმდება



ISSN 1987-9385
9 771987 938006

5 გიგა ბუკია: „როგორც სააკაშვილი იქცევა უკრაინაში, ისე იქცევიან მისი დამქაშები საქართველოში“

2 მიხეილ ჯანელიძე: „გერმანიაში საქართველოს ელჩის კანდიდატურაზე განხილვები არ დაწყებულა“

7 ოზურგეთში ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს

# „თუ მეორე ტურში ელისაშვილი გავა, ნაციონალები მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსს დაკარგავენ“

ნათია ხურცილავა




პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს აფასებს.

***– ბატონო ვახტანგ, ხომ არ ფიქრობთ, რომ ნაციონალური მოძრაობა წინასაარჩევნო კამპანიას ხმაურის ფონზე წარმართავს და ამაში მას, ასე თუ ისე, ხელს უწყობს ხელისუფლება?***

– ცხადია, ხელისუფლება ცდილობს, იგივე კარტი გაათამაშოს, რომელიც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გათამაშდა. ფაქტია, რომ „ქართულ ოცნებას“ აწყობს, მის მოპირდაპირედ იყოს ნაციონალური მოძრობა და არა სხვა რომელიმე ოპოზიციური პარტია. შესაბამისად, ეს დაძაბულობა ორივეს წისქვილზე ასხამს წყალს.

რასაც ვუყურებთ, საკრებულოს შენობის წინა განვითარებულ მოვლენებს, ცოტა ხნის წინ მერიასთან განვითარებულ მოვლენებს, ამით ნაციონალური მოძრაობა თავისი ამომრჩევლის მობილიზებას ცდილობს. ხელისუფლებას კი ეს ნაბიჯი აწყობს იმდენად, რამდენადაც მოსახლეობაში ნაციონალური მოძრაობის მიმართ დამოკიდებულება ანტაგონისტურია და მან კარგად იცის, რომ თუ კვლავ შეახსენებენ ნაციონალები თავს ამომრჩეველს, ამით მხოლოდ ისინი მოიგებენ და არა – ნაციონალები. ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, ურჩევნია, რომ მისი მთავარი მეტოქე ნაციონალური მოძრაობა იყოს და სხვა არავინ.

***– ამ შემთხვევაში თავს უფრო კომფორტულად გრძნობს, ნაკლები მობილიზება სჭირდება?***

– რასაკვირველია. ეს ძალიან მარტივად ახსნადია. სანამ ქვეყანაში „ქართული ოცნების“ საპირწონე პარტია ნაციონალური მოძრაობა იქნება, „ქართული ოცნება“ მუდამ იქნება ხელისუფლებაში. შეიძლება საზოგადოებაში არის გულგატეხილობა „ქართული ოცნებისადმი“, მაგრამ ის, რომ ნაციონალებისადმი იყოს მოთხოვნა, ეს ნამდვილად ასე არ არის. თუ არჩევანის წინაშე დადგება მოსახლეობა – „ქართული ოცნება“ თუ ნაციონალური მოძრაობა, მერწმუნეთ, მოსახლეობა არჩევანს ისევ „ქართული ოცნების“ მიმართ გააკეთებს.

ახლა საკითხი ასე დგას, რომ ნაციონალებმაც და „ოცნებამაც“ ამომრჩეველი მიიყვანონ არჩევნებზე. ხელისუფლება ეცდება, თავისი ამომრჩევლის მობილიზება მოახდინოს იმით, რომ თუ არ მივლენ არჩევნებზე, მაშინ ნაციონალები გაიმარჯვებენ. მე ვერ ვიტყვი, რომ საკრებულომ ეს გადაწყვეტილება დაამთხვია წინასაარჩევნო პროცესს, მაგრამ ის პროცესი, რომლის მოწმენიც ვართ, ხელისუფლებისთვის მომგებიანია.

***– ეს თემა რომ ძალიან ყვირის? ერთ ლარზეა აპელირება, რომ ტერიტორიის, სკვერის გადაცემა ხდება ინვესტორისთვის.***

– არც ისეა საქმე, რომ მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას სჯერა იმის, რასაც ნაციონალური მოძრაობა ეუბნება, რომ ივანიშვილისთვის ხდება ტერიტორიების ჩუქება. ამ პროექტის მიმართ არ მგონია ასეთი ანტაგონისტური განწყობა იყოს. მართლაც ხომ ხდება ინვესტიციების ჩადება?! მითხარით, რამდენი თბილისელი იქნება ნამყოფი თაბორის მთაზე?! მოსახლეობის 99%-მა არც კი იცის, საით არის თაბორის მთა. მსგავსი თემები ყოველთვის ნოყიერია საიმისოდ, რომ პოლიტიკოსებმა გამოიყენონ შავი პიარისთვის, მით უფრო წინასაარჩევნოდ.

***– ხელისუფლება რამდენად არის დამაჯერებელი?***

– ამბობს, რომ ინვესტიცია შემოდის. აქ, კიდევ ერთი რამ არის საინტერესო: ვის სჯერა ნაციონალური მოძრაობის გულწრფელობის, როდესაც ის ამბობს: ვიღაცას ერთ ლარად გადაეცა, მაშინ როდესაც კარგად გვახსოვს, როგორ გადაეცა სააკაშვილის დედას შენობა, როგორც გვითხრეს, უნივერსიტეტისთვის.

***– არ იმუშავებს მსგავსი პიარი?***

– რა თქმა უნდა, ვერ იმუშავებს და არც მუშაობს.

***– ტელედებატები გაიმართა დედაქალაქის მერობის კანდიდატებს შორის. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?***

– ვუყურე ამ დებატებს. შეიძლება ეს არ იყო ბრწყინვალე დებატები, მაგრამ საკმაოდ კარგი დებატები გაიმართა.

***– ექსპერტების ნაწილი ამბობს, რომ თუ მეორე ტური იქნება და მეორე ტურში კალაძეს ელისაშვილი დაუპირისპირდება, მაშინ კალაძეს პრობლემები შეექმნება. იზიარებთ ამ მოსაზრებას?***

– პირველი, რაც ჩანს, არის ის, რომ კალაძე გავა პირველ ადგილზე და გაიმარჯვებს, რადგან მას რეალური კონკურენტი არ ჰყავს. თუ მეორე ადგილზე გავა ზაალ უდუმაშვილი, მაშინ კახა კალაძე გარანტირებულად, უპრობლემოდ, ყოველგვარი კითხვის ნიშნის გარეშე გაიმარჯვებს. თუ იქ ელისაშვილი იქნება კალაძის კონკურენტი, უფრო მეტი დაძაბულობა იქნება არჩევნებში შეტანილი. თუმცა, მე მაინც ვფიქრობ, რომ ელისაშვილის გამარჯვების შანსი დაბალია. ოპოზიციური ხმები არ წავა ელისაშვილთან, მით უფრო არ წავა ნაციონალური მოძრაობის ხმები. ნაციონალურ მოძრაობას სულაც არ აწყობს, რომ ელისაშვილისგან ახალი პოლიტიკური ფიგურა შექმნას.

თანაც, არჩევნებს ორგანიზებულობაც, პარტიული დისციპლინაც იგებს, რეიტინგთან და ფულთან ერთად. თბილისში 400-ზე მეტი საარჩევნო უბანია, ამ უბნებზე ერთგული ხალხი თუ არ გყავს, რამდენი ხმაც არ უნდა მიიღო, რთული იქნება ამ ხმების დაცვა. კიდევ ერთი ფაქტორია, მეორე ტურში გაცილებით ნაკლები ამომრჩეველი მოდის. ელისაშვილის ამომრჩეველი არის გულწრფელი ამომრჩეველი, კალაძის ამომრჩეველი კი არის სახელისუფლო, ორგანიზაციული ამომრჩეველი, რომელიც აუცილებლად მიდის მეორე ტურზე. ხელისუფლება მეორე ტურზე ამომრჩევლის მობილიზებას აუცილებლად მოახერხებს, მაგრამ რამდენად შეძლებას ამას ელისაშვილი?!

ისე, აქვე უნდა ვთქვა, რომ თუ მეორე ტური იქნება და მეორე ტურში ალეკო ელისაშვილი გავა, ეს ნამდვილად კარგი იქნება ჩვენი ქვეყნის დემოკრატიისთვის, პოლიტიკური ცხოვრებისთვის, რადგან მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსს დაკარგავს ნაციონალური მოძრაობა.

## თინა ბოკუჩავა: „მიშას რომ დაეჭირა ივანიშვილი ან ქვეყნიდან გაეგდო, მაშინ შეიძლებოდა პარალელებზე საუბარი“



– ეს არ არის ნორმალური არჩევნები, რომელსაც „ქართული ოცნება“ ატარებს. ეს არის არჩევნები, სადაც კანდიდატებს იჭერენ, სადაც კანდიდატებს ისე ხსნიან რეგიონებში, რომ უცებ გადაწყვეტენ ისინი, აღარ იყარონ კენჭი და ეს ხდება იმიტომ, რომ სუსი პირდაპირ აშინებს ან ძალადობით, ან სამსახურიდან გაგდებით, – განაცხადა ნაციონალური მოძრაობის წევრმა თინა ბოკუჩავამ 10 ოქტომბერს დიანა ტრაპაიძის გადაცემაში.

მისი თქმით, ეს არის არჩევნები, სადაც ბიზნესმენები ბიუჯეტის თანხებს ატრიალებენ და სწირავენ „ქართულ ოცნებას“.

– ეს არ არის ორიგინალური არჩევნები და ესეც უნდა გავითვალისწინოთ, – განაცხადა თინა ბოკუჩავამ.

წამყვანის რეპლიკაზე, „ბევრად უფრო მძიმე არჩევნებში გამარჯვებული ოპოზიციაც გვინახავს“, თინა ბოკუჩავამ უპასუხა:

– რომელ არჩევნებზე საუბრობთ?! მე არ მახსოვს არჩევნები, სადაც, მაგალითად, მთავარი ოპოზიციური ძალის ლიდერი იყო გაგდებული ქვეყნიდან, ან დაკავებული, თქვენ გახსოვთ? თუ გახსოვთ, იქნებ შემახსენოთ, მე ნამდვილად არ მახსოვს.

აი, ბიძინა ივანიშვილი რომ დაეჭირა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, იმიტომ, რომ ის კანონს არღვევდა, ან გაეგდო ქვეყნიდან, მაშინ შეგეძლოთ რაღაც გარკვეულ პარალელზე გესაუბრათ. მე ნამდვილად არ მახსოვს რომელიმე ოპოზიციის ლიდერი, რომელიც ან დაკავებული იყო ან საპყრობილეში იყო, როგორც ახლა არიან ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერები, ან გაძევებული ყოფილიყო ქვეყნიდან, – განაცხადა ბოკუჩავამ.

## კოტე იოსელიანი: „თავს დამესხა 15 კაცი და ყველას ჰქონდა მელორ ვაჩნაძის სახე“



ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ვაკის მაჟორიტარობის კანდიდატის კოტე იოსელიანის ინფორმაციით, 10 ოქტომბერს საკრებულოს შენობასთან მისი დაკავება უკიდურესი ძალადობის ფონზე მოხდა.

როგორც კოტე იოსელიანმა სასამართლო დარბაზიდან გამოსვლის შემდეგ გუშინ განაცხადა, მას დაახლოებით 15 ადამიანი დაესხა თავს.

– ეს იყო მიზანმიმართული პროვოკაცია ხელისუფლების მხრიდან. ეს იყო არნახული ძალადობით განხორციელებული დაკავება. მარტო ვიდექი, როცა თავს დამესხა 15-მდე ადამიანი. თავიდან ვერც კი მივხვდი, რომ პოლიცია იყო. „ქართული ოცნების“ „ტიტუშკები“, ყველას ჰქონდა მელორ ვაჩნაძის სახე. ჩემი მორევა მარტივი არაა და იყო ძალიან დიდი ორომტრიალი, უშვერი სიტყვებით გინება. მე იქ კანონი არ დამირღვევია, არავისთვის მუშაობაში ხელი არ შემიშლია. ბიძინა ივანიშვილის პირადი პოლიცია იდგა და ასრულებდა უკანონო ბრძანებას, კერძოდ, ხელი შეუშალა მოქმედ დეპუტატებს საკრებულოს შენობაში შესვლაში.

სახალხო დამცველის წარმომადგენელი 3 საათის განმავლობაში მეძებდა. ორჯერ შეცვალეს ჩემი დაკავების ოქმი. პირველად ჩაწერეს სრული იდიოტიზმი, რომ მე არ დავემორჩილე პოლიციის მოთხოვნას, გავყოლოდი მანქანასთან, რასაც საერთოდ არ ჰქონია ადგილი. შემდეგ კი ჩაწერეს, თითქოს მე პოლიციას ვაგინებდი, რაც ასევე აბსურდია, რადგან ყველას შეუძლია ნახოს, რომ გინება საპირისპირო მხრიდან იყო. მოხდა შერჩევით ადამიანების დაკავება. მე ვარ ვაკეში მაჟორიტარობის კანდიდატი. ვაკეში „ქართული ოცნება“ განადგურებულია. გუშინ მქონდა დაგეგმილი ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა, რომელიც ჩამიშალეს და ამით გზას უხსნიან ჩემს კონკურენტს, – აღნიშნა კოტე იოსელიანმა.

## მიხეილ ჯანელიძე: „გერმანიაში საქართველოს ელჩის კანდიდატურაზე განხილვები არ დაწყებულა“

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ინფორმაციით, გერმანიაში საქართველოს ელჩის კანდიდატურაზე განხილვები ჯერჯერობით არ დაწყებულა.

– ლადო ჭანტურია ჯერ კიდევ არის ელჩი გერმანიაში. მისი არჩევა მხოლოდ და მხოლოდ გუშინ მოხდა. შესაბამისად, ეს არის პროცესი, რომელიც საჭიროებს არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, ასევე პარტნიორებთან, ვგულისხმობ გერმანიასთან კონსულტაციების წარდგენის შემდეგ. როდესაც დასრულდება ეს პროცესი, ამის შესახებ ყველა ინფორმირებული იქნება. განხილვები დაწყებული არ არის, – განაცხადა ჯანელიძემ.

შეგახსენებთ, რომ გავრცელებული ინფორმაციით, გერმანიაში საქართველოს ელჩის თანამდებობას დავით ნარმანია დაიკავებს, თუმცა ჯერჯერობით ოფიციალურად ეს ინფორმაცია არ დადასტურებულა.



ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მეუფე სერაფიმე მონასტერში გაუშვეს

შორენა მარსაგიშვილი

ციანიდის საქმესთან დაკავშირებით, შესაძლოა, ახალი სკანდალის მომსწრენი გავხდეთ. საპატრიარქო, რომელიც პროკურატურას ამ საქმეში სრულ ნდობას უცხადებდა, სპეციალური კომისიის შექმნას და ამ საკითხის შესწავლას აპირებს.

ეს გადაწყვეტილება წმინდა სინოდის 11 ოქტომბრის სხდომაზე მიიღეს.

სინოდის სხდომის დანიშვნის შესახებ ინფორმაცია 10 ოქტომბერს გახდა ცნობილი. სინოდის სხდომა წელიწადში რამდენჯერმე იმართება, მაგრამ ამ სხდომის მიმართ განსაკუთრებული მოლოდინები იყო.

გავრცელებული ინფორმაციით, სინოდზე მეუფე პეტრესთვის სასჯელის დადება იგეგმებოდა. გაზაფხულზე გამართულ სინოდის სხდომაზე ჭყონდიდელ მიტროპოლიტს განცხადებების გაკეთება აუკრძალეს.

მეუფე პეტრე ამ გაფრთხილებას არ დაემორჩილა და ეკლესიაში შექმნილ ვითარებაზე არაერთი სკანდალური განცხადება გააკეთა. ის საჯარო განცხადებებში ეკლესიის გაწმენდის აუცილებლობაზე ხშირად საუბრობდა, ამბობდა, მე მზად ვარ და მხილება ჩემით დაიწყოსო.

ყველას ეგონა, რომ ამ განცხადებების შემდეგ, 11 ოქტომბრის სინოდის სხდომაზე მას სასჯელს დაადებდნენ. თუმცა მსგავსი რამე არ მომხდარა.

სინოდის სხდომიდან გამოსულმა მეუფე პეტრემ განაცხადა, რომ სხდომაზე მასზეც ისაუბრეს, მაგრამ გაფრთხილება არ მიუციათ.

მართალია, სინოდის სხდომა, ტრადიციულად, დახურულ რეჟიმში წარიმართა, მაგრამ ინფორმაციები მაინც გამოვიდა.

გავრცელებული ინფორმაციით, მეუფე პეტრეს სხდომაზე ქორეპისკოპოსი იაკობი დაუპირისპირდა. მათ შორის ღია დაპირისპირება მიმდინარე წლის თებერვალში, ციანიდის სკანდალის შემდეგ დაიწყო. ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში ჭყონდიდელმა ქორეპისკოპოსს შორენა თეთრუაშვილის ოქროს თევზი უწოდა.

პირველი რადიოს ინფორმაციით, პატრიარქის ქორეპისკოპოსსა და მეუფე პეტრეს შორის სინოდის სხდომაზე მწვავე კამათი გაიმართა.

აღნიშნული ინფორმაციის თანახმად, ქორეპისკოპოსი და მისი გუნდი წმინდა სინოდზე ჭყონდიდელი მიტროპოლიტის დასჯას ითხოვდა.

არაოფიციალური ინფორმაციით, დასჯის ერთ-ერთ ვარიანტად მეუფე პეტრესთვის ახალი, მკაცრი გაფრთხილების მიცემა იგულისხმებოდა. მეორე ვარიანტად კი, მისთვის ჭყონდიდის ეპარქიიდან გადაყვანა, ან ზოგადად ეპარქიიდან ჩამოშორება განიხილებოდა.

მეუფე იაკობის ამ იდეას სინოდში საკმარისი მხარდამჭერები არ აღმოაჩნდა. უფრო მეტიც, არსებული ინფორმაციით, წმინდა სინოდის სხდომაზე მეუფე პეტრეს შესაძლო დასჯის საპასუხოდ, შეიძლებოდა ქორეპისკოპოსის მოწინააღმდეგე დაჯგუფებას, მისი ქორეპისკოპოსობიდან გადაყენების წინადადება მოჰყოლოდა.

– შესაბამისად, მხარეები ამ ეტაპზე ცხარე კამათის შემდეგ დროებით დაზავდნენ და დღის წესრიგში არც მეუფე პეტრეს დასჯის საკითხი და არც მეუფე იაკობის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი დამდგარა, – ამბობს პირველი რადიოს წყარო.

მეუფეებს შორის დაპირისპირებას არ ადასტურებს რუსთავის მიტროპოლიტი იოანე.

– წმინდა სინოდის სხდომაზე მეუფე პეტრესა და მეუფე იაკობს შორის დაპირისპირება არ ყოფილა, იყო აზრთა სხვადასხვაობა, ყველას აქვს თავისი ხედვა, ფაქტების ინტერპრეტაცია, – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში რუსთაველმა მიტროპოლიტმა.



## საპატრიარქო ციანიდის საქმეს თავად გამოიძიებს



მეუფე სერაფიმე

სინოდის სხდომიდან გამოსული მეამბოხე მეუფე პეტრე კმაყოფილი ჩანდა. მისი თქმით, 11 ოქტომბრის სინოდის სხდომა წინგადადგმული ნაბიჯია.

რატომ იყო ეს სხდომა წინგადადგმული ნაბიჯი, ეს ჭყონდიდელ მიტროპოლიტს არ დაუკონკრეტებია. ამაზე კონკრეტული პასუხი არც რუსთაველ მიტროპოლიტ იოანეს აქვს.

– არ ვიცი, განმარტება მეუფე პეტრეს უნდა მოეცა, თუ რას გულისხმობს. თუ ეს წინგადადგმული ნაბიჯია, მაშინ რა, აქამდე უკანგადადგმული ნაბიჯები იყო? – აღნიშნა რუსთაველმა მიტროპოლიტმა.



მეუფე პეტრე

მეუფე იოანემ განმარტება იმაზეც გააკეთა, თუ რატომ დაინიშნა სხდომა 11 ოქტომბერს. მიტროპოლიტი ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავს.

მისი განმარტებით, წმინდა სინოდის სხდომები წელიწადში ორჯერ – შემოდგომასა და გაზაფხულზე იმართება.

– შემოდგომაზე სხდომა სვეტიცხოვლობის დღესასწაულს ან პატრიარქის ინტრონიზაციის საკითხებს უკავშირდება. ამდენად, უფრო პრაქტიკული იყო სხდომის ჩატარება ახლა ან დეკემბერში. დღევანდელი სხდომა საგანგებოდ მოწვეული არ ყოფილა, – განაცხადა მეუფე იოანემ.

❖ ❖ ❖

გაზაფხულზე გამართულ სინოდის სხდომაზე ციანიდის საკითხის განხილვა არ მოისურვეს. ახლა კი გადაწყვიტეს, რომ ამ საკითხს სპეციალური კომისია შეისწავლის.

– გადაწყდა, რომ რადგან მამა გიორგისთან დაკავშირებით სასამართლო დასრულდა და განაჩენი გამოტანილია, საპატრიარქომ ეკლესიის კანონის მიხედვით უნდა განიხილოს საკითხი.

ეკლესიას აქვს თავისი სამართალი, სჯულის კანონი, სადაც განხილულია ყველა ის შემთხვევა, რაც ისტორიულადაა ცნობილი, ამ გამოცდილების საფუძველზე მოხდება განხილვა – მისი მღვდელთმსახურების გაგრძელების თუ შეჩერების, – განაცხადა რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ.

მამა გიორგი მამალაძის ადვოკატი მიხეილ რამიშვილი საპატრიარქოს ამ გადაწყვეტილებას მიესალმება.

– ეს მართლაც წინგადადგმული ნაბიჯია. საერო სამართალი საერო სამართალია, მაგრამ სასულიერო პირისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია საეკლესიო სამართალი. მათ ბევრი რამე იციან და სიმართლის დადგენა არ გაუჭირდებათ, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში მიხეილ რამიშვილმა.

ადვოკატის თქმით, დაცვის მხარე მზადაა, შეხვდეს კომისიას და მათ ხელთ არსებული ყველა მასალა მიაწოდოს.

– მათ თავის დროზე მოუსმინეს პროკურატურას და თუ ჩვენს მოსმენასაც მოისურვებენ, მზად ვართ მათთან შესახვედრად. ჩვენ ბევრი რამე გვაქვს სათქმელი, – ამბობს მამა გიორგი მამალაძის ადვოკატი.

ადვოკატები სინოდის წევრებს რამდენიმე თვის წინაც შეხვდნენ, საიდანაც საკმაოდ მძიმე შთაბეჭდილებით გამოვიდნენ.

მიხეილ რამიშვილი ამ შეხვედრას ასე იხსენებს:

– მაშინ სინოდის წევრებს ჩვენთვის უნდა მოესმინათ, მაგრამ მოსმენის სურვილი არ ჰქონიათ. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჩვენ დაკითხვაზე ვიმყოფებოდით.

სინოდის წევრების გარდა, ადვოკატები პატრიარქსაც შეხვდნენ. მიხეილ რამიშვილი ამბობს, რომ პატრიარქი მზად იყო, მამა გიორგის თავდებში დასდგომოდა, მაგრამ მას ეს გადააფიქრებინეს.

– როდესაც უწმინდესი გერმანიიდან ჩამობრძანდა, ჩვენ შევხვდით მას და ჩვენს ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია მივაწოდეთ. პატრიარქი მზად იყო, თავდებში დასდგომოდა მამა გიორგის, მაგრამ პატრიარქთან მივიდნენ და უთხრეს, რომ მამა გიორგი ციხიდან თუ გამოვიდოდა, მას ხალხი მოკლავდა. ამას კი პატრიარქი ვერაფრით დათანხმდებოდა, – ამბობს მამა გიორგი მამალაძის ადვოკატი.

ამ ეტაპზე უცნობია, თუ რატომ გადაწყვიტა სინოდმა ციანიდის საქმის შესწავლა. აქამდე ამბობდნენ, რომ პროკურატურას ბოლომდე ენდობოდნენ. თუმცა ეს განცხადებები სასამართლომდე გაკეთდა. სასამართლოს შემდეგ კი მედიაში ბევრი სკანდალური ინფორმაცია და ჩვენება გავრცელდა.

ამ საკითხზე მედიაში კიდევ ბევრი სკანდალური ინფორმაციის გავრცელება იგეგმება. ეს ინფორმაციები ეკლესიის რეიტინგზე დადებითად ნამდვილად არ მოქმედებს.

ამის გარდა, მამა გიორგი მამალაძის ადვოკატები აცხადებენ, რომ პროკურატურა დეკანოზს პირდაპირ სთხოვდა, მეუფე დიმიტრის და სოსო ოხანაშვილის წინააღმდეგ მიეცა ჩვენებაო.

სოსო ოხანაშვილი დღეს საქართველოდან წასულია. ოფიციალური ინფორმაციით, ის გერმანიაშია. ერთ-ერთი ვერსიით კი, ის რუსეთში, სანკტ-პეტერბურგში იმყოფება.

პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსის რუსეთში ყოფნაზე საუბრობს უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე, რომელიც ოხანაშვილთან დაპირისპირებული შორენა თეთრუაშვილის დაქალია.

ნანა კაკაბაძის ინფორმაციით, ოხანაშვილი რუსეთში ერთ-ერთ ბიზნესფორუმზე იმყოფებოდა. მისი მტკიცებით, საგამოძიებო ჯგუფს ამის დამადასტურებელი ფოტოებიც აქვს.

ახლო მომავალში სოსო ოხანაშვილი შესაძლოა საქართველოში დაბრუნდეს. ჯერ მას ხელშეუხებლობის გარანტიები არ მიუღია.

სინოდის სხდომამდე რამდენიმე კვირით ადრე სკანდალური განცხადება გააკეთა მეუფე იაკობმა. მან პირობა დადო, რომ საკუთარი ძალებით ჩაატარებს გამოძიებას და ყველა ნახავს, რას უპირებდნენ პატრიარქს.

❖ ❖ ❖

ციანიდის საქმეზე არანაკლები გამოხმაურება ჰქონდა თავის დროზე მეუფე სერაფიმეს ამბავს. ეკლესიაში ერთ-ერთი პირველი სერიოზული სკანდალი მის გამო ატყდა.

ამ სკანდალის გამო მეუფეს ეპარქიიდან წასვლა მოუწია. მოგვიანებით გადაწყდა, რომ მას გერმანიაში გააგზავნიდნენ, მაგრამ რამდენიმე სასულიერო პირი ამის წინააღმდეგი წავიდა,

11 ოქტომბერს გამართულ სინოდის სხდომაზე გადაწყდა, რომ მეუფე სერაფიმე ეპარქიაში დაბრუნდება, ოღონდ ერთ-ერთ მონასტერში წავა.

როგორც რუსთაველი მიტროპოლიტი მედიასთან საუბარში აცხადებს, მონასტერში წასვლის სურვილი თავად მეუფე სერაფიმემ გამოთქვა.

– მეუფე სერაფიმემ თავად ითხოვა, რომ მე არ მინდა ეს აყალმაყალი და მშვიდად წავალ მონასტერშიო. აქამდე ათონზე იყო და კიდევ რამდენიმე მონასტერში. ამ მომენტისათვის უცნობია, თუ რომელ მონასტერში იცხოვრებს მეუფე სერაფიმე, ამას იგი თავად გადაწყვეტს, – აღნიშნა მეუფე იოანემ.

წმინდა სინოდის გადაწყვეტილებითვე, გურჯაანისა და ველისციხის მიტროპოლიტ ექვთიმეს მღვდელმსახურება აღუდგა.

– სასამართლომ გამოძიების შედეგად დაადგინა, რომ ის იყო უდანაშაულო. იქ ცოტა სხვა სიტუაცია იყო. უბრალოდ, მეუფემ თავის თავზე აიღო. ამიტომ მას აღუდგა მღვდელმსახურება, – ასეთ განმარტებებს აკეთებს რუსთაველი მიტროპოლიტი.

❖ ❖ ❖

მედიაში ბოლო დროს ხშირად საუბრობენ პატრიარქის მემკვიდრეზე. დასახელებულია რამდენიმე კანდიდატურა. ეს ინფორმაციები ოფიციალურად არ დასტურდება. საპატრიარქოში ამბობენ, რომ პატრიარქის მემკვიდრის საკითხი არც კი განიხილება.

სინოდის სხდომის წინა დღეს გამოცემა „ქრონიკა +“-მა პატრიარქის მემკვიდრესთან დაკავშირებით სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა.

გაზეთის რედაქტორ ელისო კილაძის განცხადებით, საპატრიარქოს საქმეებში უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებიც ერევიან.

კილაძის ინფორმაციით, რუსეთის სპეცსამსახურებმა, პატრიარქ კირილის თანხმობით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ადგილმონაცვლედ მაღალყოვლადუსამღვდელოესი შიო (მუჯირი) შეარჩიეს და ამჟამად ინტენსიურად მუშაობენ ქართველი სამღვდელოების, კერძოდ, სინოდის იმ წევრებთან, რომლებიც რუსეთის სპეცსამსახურებისა და საპატრიარქოს წინაშე არიან ანგარიშვალდებულები.

„ქრონიკა +“ აცხადებს, რომ ისი-



მამა გიორგი მამალაძე

ნი ამ ინფორმაციას საქართველოს ეკლესიის მაღალ სასულიერო იერარქზე დაყრდნობით ავრცელებენ.

მაღალი სასულიერო იერარქი თავის მხრივ აცხადებს, რომ მეუფე შიოს მოსკოვში კარგად იცნობენ და იგი რუსეთის პატრიარქის კარზე საკმაოდ მიღებულ პერსონად მიიჩნევა.

იგივე წყაროს მტკიცებით, საპატრიარქოს ცალკეულ წრეებში მეუფის რუსეთის სპეცსამსახურებთან კავშირებზეც საუბრობენ.

– ჩემ დასამუშავებლად მოსულ პერსონას კითხვა დავუსვი: – რამდენად უტყუარია ინფორმაცია მისი მხარდაჭერის შესახებ და ვინ არის გარანტი? პასუხად მივიღე: ლევან ვასაძე, – ამბობს მაღალი იერარქიის სასულიერო პირი.

ბიზნესმენი ლევან ვასაძე რუსეთთანაც არის დაახლოებული და საქართველოს საპატრიარქოშიც დიდი გავლენით სარგებლობს.

# „დატოვოს ივანიშვილმა მიწის ნაკვეთი ქალაქის საკუთრებაში და ისე გააკეთოს ავტოსადგომი. ვინმე უშლის?!“

## მამუკა გამყრელიძე: „დეპუტატის საკრებულოში არშეშვება კანონის დარღვევაა“

ნონა ცაბაძე



საკრებულოს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე „ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი დიპლომატი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, პრემიერმა ნაციონალური მოძრაობის წევრებს რადიკალები და პროვოკატორები უწოდა. მისივე განცხადებით, პოლიციაც და საკრებულოს თავმჯდომარეც სრული კანონის დაცვით მოქმედებდნენ. რამდენად იყო ასე და რომელი მხარის მიერ დაირღვა კანონი?***

– ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმები იმას, რომ ეს ყველაფერი კანონის დაცვით იყო გაკეთებული, რადგან ერთმნიშვნელოვნად პარლამენტის დეპუტატებს აქვთ უფლება საკრებულოს დარბაზში შესვლის. ეს კანონშია ჩაწერილი. პირიქით, სახელმწიფომ დაარღვია კანონი, როდესაც ეს ადამიანები არ შეუშვა.

***– დახურული სხდომა იყოო.***

– ვისთვის დახურული, დეპუტატისთვის?! არ არსებობს ასეთი სხდომა!

***– გაკეთდა შეფასებები, რომ ისინი იქ დებოშის ასატეხად და პროვოკაციის მოსაწყობად მიდიოდნენ.***

– წინასწარ როგორ შეიძლება განისაზღვრო, დებოშის ასატეხად მიდის თუ რისთვის მიდის. პირიქით, სწორედ „ქართული ოცნების“ დეპუტატები ტეხდნენ დებოშს პარლამენტში. ყველას ახსოვს, მოჭიდავეები რომ ჰყავდათ და იყო სულ გაწევ-გამოწევა. ნაციონალური მოძრაობის ადვოკატი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ ფაქტია, რომ კანონი დაირღვა. დეპუტატი ხალხის მიერ არის არჩეული, მისი წარმომადგენელია, მისი ხმაა, რა უფლებით არ უშვებ?! ეს კანონის დარღვევაა.

***– რამდენად ცდილობს ნაციონალური მოძრაობა წინასაარჩევნო პერიოდში ქვეყანაში დესტაბილიზაციის სურათის შექმნას?***

– შესაძლებელია, ყურადღების მიქცევას და საკუთარი თავის აქტუალიზებას ცდილობს არჩევნების წინ, ეს აბსოლუტურად ნორმალურია და ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ცუდი და მანკიერი არის სწორედ ის, რასაც თბილისის მერია და საკრებულო ჩადის.

***– კერძოდ რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ ერთ ლარად გასცემს მიწის ნაკვეთს ვიღაცაზე, არ აქვს მნიშვნელობა, ვისზე, ეს იქნება ნინო ბურჯანაძე, თუ ეს იქნება ბიძინა ივანიშვილი. ეს დაიწყო ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან და ეს მანკიერება დღემდე ვერ მოიშორეს. ერთ ლარად გასხვისება სახელმწიფო ქონების, ხალხის ქონების, ეს არის ქვეყნის ძარცვის მანკიერი პრაქტიკა. ეს როდესღაც ხომ უნდა დამთავრდეს?! ხალხი აპროტესტებს სწორედ ამას და არა სხვა რამეს.

***– კანონი დაირღვა ამ ქმედებით?***

– არა, კანონი არ დარღვეულა, კანონით აკრძალული არ არის ამის გაკეთება, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი. როდესაც ქალაქის ცენტრში ასე ძვირადღირებულ მიწას ერთ ლარად გადასცემ შენ ვიღაცას, რა მნიშვნელობა აქვს, ის ვინ არის, ეს ამორალურია. ხალხსაც ხომ უნდა დაეკითხო? შეიძლება კანონი არ დაარღვიო, მაგრამ მორალური და ზნეობრივი ნორმები დაარღვიო. გამოდის, რომ ადამიანები აბსოლუტურად არაფერს არ წარმოადგენენ.

***– ისევ ხალხისთვის კეთდება ეს ავტოსადგომიო.***

– მაშინ გვაჩვენონ, რას აკეთებენ. აჩვენონ ხალხს, რა არის დაგეგმილი. 30 მანქანის ავტოსადგომი?! ეს ხომ უბრალოდ სასაცილოა! ავტოსადგომის გაკეთება თუ უნდათ, ეს გათვლილი უნდა იყოს რამდენიმე ასეულ მანქანაზე! ყველაფრის გაკეთება შეიძლება, რა თქმა უნდა, მაგრამ ხალხსაც დაეკითხე, მის მიერ რომ ხარ არჩეული და გააკეთე ისე, რომ ამით მოსახლეობამ ნახოს სარგებელი და არა – პირადად შენ!

***– ნაციონალური მოძრაობა აქციებს აანონსებს, რამდენად გადაინაცვლებს პროცესები ქუჩაში?***

– არჩევნები კარს მოგვდგომია, ცხადია, რომ ეს პოლიტიკური პარტია შეეცდება, გარკვეულად დაძაბოს და გაახუროს სიტუაცია, რათა არჩევნებზე რაც შეიძლება მეტი ადამიანი მივიდეს. ეს აბსოლუტურად ნორმალურად მიმაჩნია. მეორე საკითხია, რომ ეს ყველაფერი კანონს ფარგლებს გარეთ არ უნდა გავიდეს. ეს თემა, რის გარშემოც ატეხილია ამხელა ხმაური, თავისთავად ძალიან არასასიამოვნოა. პირადად მე, როგორც ერთი რიგითი მოქალაქე, საკუთარ თავს ვგრძნობ ძალიან შეურაცხყოფილად. იმიტომ, რომ ჩემი ქალაქის გულში, ამხელა ტერიტორია, ვიღაცამ ერთ ლარად უნდა წაიღოს.

***– და თუ მართლა მოსახლეობისთვის კეთდება?***

– თუ ამ ადამიანს მართლა ქალაქისთვის უნდა სიკეთის გაკეთება, მაშინ კეთილი ინებოს, დატოვოს ეს მიწის ნაკვეთი ქალაქის საკუთრებაში და ისე გააკეთოს ეს ავტოსადგომი. ვინმე უშლის?! ან იქირაოს ეს ტერიტორია, ესეც აბსოლუტურად გასაგები და მისაღები იქნება, მაგრამ როდესაც საკუთრებაში მიაქვს მიწა, ეს უკვე სხვაგვარად უნდა შეფასდეს.

***– მაინც როგორ?***

– პირადად მე ვთვლი, რომ საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ალიბეგაშვილი, არის სრულიად ამორალური პიროვნება.

***– მას რაღას ერჩით?***

– მას რომ კაცობა ჰქონდეს, უბრალოდ დაწერდა განცხადებას და გადადგებოდა! ივანიშვილის ყურმოჭრილი მონები არიან და მის ნება-სურვილზე დადიან. ეს არის ჯიბის ხელისუფლება, დავით ნარმანიას თამადობით. ნარმანიაზე აღარ ვისაუბრებ, ისედაც ყველამ კარგად იცის, ვინც არის.

***– ვრცელდება ინფორმაცია, რომ ნარმანიას დაუფასეს ერთგულება და გერმანიაში ელჩად უშვებენ.***

– ამაზე უბრალოდ კომენტარსაც ვერ გავაკეთებ. არ ვიცი, რა ვთქვა. გერმანია არის უმნიშვნელოვანესი ქვეყანა და იქ უნდა წავიდეს ისეთი ადამიანი, რომელმაც, სხვა თუ არაფერი, გერმანული ენა იცის კარგად.

***– ნარმანიასაც სცოდნია.***

– კარგით რა... ასევე, იქ წასულ ელჩს დიდი გამოცდილება უნდა ჰქონდეს, როგორც დიპლომატს. გერმანია არ არის სლოვენია იქნება თუ სლოვაკიის მსგავსი ქვეყანა, სადაც შეიძლება ნაკლებად გამოცდილი ადამიანის გაშვება. გერმანია არის უაღრესად მნიშვნელოვანი ქვეყანა. ნარმანიაზე საუბრისგან თავს შევიკავებ, მაგრამ ვისურვებდი, რომ იქ მეტად პროფესიონალი პირი წასულიყო. ბოლოს და ბოლოს, გერმანიაა, იქ ძალიან გამოცდილი ელჩი უნდა გვყავდეს.

## გოგა ხაინდრავა: „კაპიტან გიგაურს მოვუწოდებ, საქართველოს მოახსენოს, რისთვის მიიღო ვანო მერაბიშვილისგან ჯილდო“

– თბილისის საქალაქო სასამართლოში დღეს შედგება სასამართლო პროცესი, სადაც კაპიტანი გიგაური იმის გამო მიჩივის, რომ თურმე ჩემი განცხადებებით მას ღირსება და პატივი ავყარე, – ამის შესახებ ჟურნალისტებს რეჟისორმა გოგა ხაინდრავამ განუცხადა.

როგორც ხაინდრავამ აღნიშნა, ეკა გიგაური აღშფოთებულია მისი იმ განცხადებით, რომ გიგაურმა რიგგარეშე კაპიტნის წოდება ივანე მერაბიშვილისგან მიიღო.

– ჩემი ვარაუდით, დაჯილდოების საბუთებით, რომელიც ხელთ გვაქვს და რომლითაც ასევე დაჯილდოვდნენ სპეცდანიშნულების რაზმის წევრები, დასტურდება გიგაურის თანამონაწილეობა 7 ნოემბრის აქციაში.



კაპიტან გიგაურს კიდევ ერთხელ მოვუწოდებ, გამობრძანდეს და საქართველოს მოახსენოს, რისთვის მიიღო ვანო მერაბიშვილისგან ჯილდო, – განაცხადა გოგა ხაინდარავამ.

## მიხეილ სააკაშვილი: „პოროშენკომ ოთხი მოთხოვნა უნდა შეასრულოს ან გადადგეს“

საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს რიგი მოთხოვნები წაუყენა.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, პეტრო პოროშენკომ ოთხი მოთხოვნა უნდა შეასრულოს ან გადადგეს.

– ეს ოთხი მარტივი და ყველა უკრაინელისთვის გასაგები ნაბიჯი გამოაჯანსაღებს ქვეყანას. თუ ხალხის ამ მოთხოვნებს უგულებელყოფთ, ხალხს უფლება ექნება, თქვენი წასვლა მოითხოვოს. გადადგომა ქვეყნისა და თქვენი პირადი რეპუტაციის გადარჩენის საუკეთესო საშუალება შეიძლება გახდეს, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორის განმარტებით, პოროშენკომ კორუფციასთან რეალური ბრძოლა უნდა დაიწყოს, გაყიდოს თავისი ბიზნესი, ძირეულად განაახლოს უკრაინის პოლიტიკური სისტემა და კომუნალური ტარიფების ზრდაზე ერთი წლით მორატორიუმი დააწესოს.



– უკრაინა სოციალურ-ეკონომიკური კოლაფსის ზღვარზეა. თუ პოლიტიკა არ შეიცვლება, არაკონტროლირებად სოციალურ აფეთქებას, უკრაინის სახელმწიფოებრიობის ჩამოშლასა და სუვერენიტეტის დაკარგვას მივიღებთ, – დასძინა სააკაშვილმა.

## 2017 წლის 9 თვეში ქვეყნიდან საქართველოს 2.910.387 მოქალაქე გავიდა, 2.860.942 კი შემოვიდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2017 წლის განმავლობაში ქვეყნიდან საქართველოს 2.910.387 მოქალაქე გავიდა, 2.860.942 კი შემოვიდა.

შესაბამის სტატისტიკურ მონაცემებს შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი აქვეყნებს. მონაცემები იანვრიდან-სექტემბრამდე პერიოდს ასახავს.

შესაბამისად, ამ მონაცემების მიხედვით, ქვეყნიდან გასულ მოქალაქეთა რაოდენობა 49.445-ით აღემატება ქვეყანაში შემოსულ მოქალაქეთა რაოდენობას.

ამავე სტატისტიის თანახმად, 2016 წელთან შედარებით ქვეყნიდან გასული მოქალაქეთა რაოდენობა 13,1%-ით არის გაზრდილი, ხოლო შემოსულების – 12.7%-ით. გასული წლის გან-



მავლობაში, ქვეყნიდან გავიდა საქართველოს 2.573.484 მოქალაქე, ხოლო შემოვიდა 2.538.814.

## ლიკა ქავჟარაძე საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს



მსახიობი ლიკა ქავჟარაძე გარდაიცვალა. მსახიობი აბაშიძის ქუჩაზე, საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს.

ლიკა ქავჟარაძე 58 წლის იყო. მისი გარდაცვალების ოფიციალური მიზეზი უცნობია, სავარაუდოდ სახელდება გულის შეტევა.

ქავჟარაძე 1959 წლის 26 ოქტომბერს დაიბადა. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ფორტეპიანოს განხრით. 1972 წლიდან მიიწვიეს კინოსტუდია „ქართულ ფილმში“.

ლიკა ქავჟარაძემ თენგიზ აბულაძის ფილმ „ნატვრის ხე“-ში შესრულებული მთავარი როლით მოიპოვა პოპულარობა.

## საქართველოში თავშესაფარს 353 უცხოელი ითხოვს, მათ შორის 28 პირი რუსეთის მოქალაქეა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ პირთა სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს. სტატისტიკა 2017 წლის 31 აგვისტომდე პერიოდს მოიცავს.

შსს-ს ინფორმაციით, ამ დროისთვის საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა 353-ს შეადგენს. კერძოდ, საქართველოში თავშესაფარს ითხოვენ შემდეგი ქვეყნის მოქალაქეები: ავღანეთი – 22, ალჟირი -1, ავსტრალია – 1, აზერბაიჯანი – 7, ბაჰრეინი – 1, ბანგლადეში – 11, ბელარუსი – 2, კამერუნი – 2, კონგო – 7, ეგვიპტე – 49, ეთიოპია – 2, განა – 7, ინდოეთი – 9, ირანი – 50, ერაყი – 27, კოტ-დ'იუარი – 1, იორდანია – 2, კენია – 2, ლიბანი – 4, მოლდოვა – 2, მაროკო



– 2, ნიგერია – 22, პაკისტანი – 15, რუსეთი – 28, საუდის არაბეთი – 1, სიერა – ლეონე – 2, სომალი – 4, შრი-ლანკა – 4, სირია – 10, ტაჯიკეთი – 1, თურქეთი – 31, უკრაინა – 9, უზბეკეთი – 1, იემენი – 4, ზიმბაბვე – 2, მოქალაქეობის არ მქონე პირი – 3, გაურკვეველი მოქალაქეობის მქონე პირი – 5.

საქართველოში თავშესაფრის მქონე პირთა რაოდენობა კი 1.489-ს შეადგენს. ლ ი ი -ს სტატუსით, მხოლოდ რუსეთის მოქალაქეები სარგებლობენ და მათი რაოდენობა შეადგენს 240-ს. ლტოლვილის სტატუსით თავშესაფარი შემდეგი ქვეყნების მოქალაქეებს (სულ 202) აქვთ მინიჭებული: ავღანეთი – 3, აზერბაიჯანი – 6, ერაყი – 104, ირანი – 21, ეგვიპტე – 7, ტაჯიკეთი – 4, თურქეთი – 1, რუსეთი – 24, სიერა – ლეონე – 1, სირია – 5, სუდანი – 6, პაკისტანი – 10, ყაზახეთი – 1, უკრაინა – 1, უზბეკეთი – 7, იორდანია – 1. ჰუმანიტარული სტატუსით კი თავშესაფარი მიენიჭათ: ეგვიპტის 6 მოქალაქეს, ერაყის 535 მოქალაქეს, ლიბანის 6 მოქალაქეს, ნიგერიის 1 მოქალაქეს, სირიის 85 მოქალაქეს, შრი-ლანკის 2 მოქალაქის, უკრაინის 408 მოქალაქეს, იემენის 1 მოქალაქეს და გაურკვეველი მოქალაქეობის მქონე 3 პირს, სულ ჯამში 1.047 უცხო ქვეყნის მოქალაქეს.

# გიგა ბუკია: „როგორც სააკაშვილი იქცევა უკრაინაში, ისე იქცევიან მისი დამქაშები საქართველოში“

## „ნაციონალების უსაქციელობის წყალობით მოსახლეობამ გაიგო, რა სასარგებლო პროექტი ხორციელდება თბილისში“

მარიამ მჭედლიშვილი



აქტუალურ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პარლამენტის უმრავლესობის ფრაქცია „კონსერვატორების“ თავმჯდომარე გიგა ბუკიას.

***– თბილისის საკრებულომ მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან მიღებული გადაწყვეტილებები, ყველაფრის მიუხედავად, მიიღო. გაუგებარი დარჩა, რატომ მისცა მმართველმა პარტიამ ნაცმოძრაობას და „ევროპულ საქართველოს“ საპროტესტო აქციების გამართვის საფუძველი. არ ჯობდა, ეს საკითხები არჩევნების შემდეგ განეხილათ?***

– საქმე ისაა, რომ ასეთ აჟიოტაჟს და დადგმულ ვანდალურ სპექტაკლებს არავინ ელოდა. მილიარდიანი პროექტი დედაქალაქში, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი ახორციელებს, ახლა არ შესულა საკრებულოში.

***– „პანორამა თბილისს“ ადრე ასეთი წინააღმდეგობა არ ჰქონია?***

– არ ჰქონია. ყველამ იცოდა, რომ ეს პროექტი დაიწყო და ის ბევრ რაიმეს მოიცავს. მათ შორისაა ავტოსადგომი პუშკინის სკვერთან. პარკინგი დედაქალაქში სერიოზული პრობლემაა და ამ ადგილას ეწყობა მიწისქვეშა სადგომი 160 მანქანისთვის.

***– აქამდე საუბარი იყო 30-ადგილიან სადგომზე..***

– სადგომი გათვალისწინებულია 160 ავტომობილისთვის. ამასთან, ზედა ინფრასტრუქტურა უცვლელი იქნება. იმის გამო, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ამაზე ვაი-უშველებელი ატეხა, ხალხმა პროექტის დეტალები გაიცნო. ნაციონალების უსაქციელობის წყალობით მოსახლეობამ გაიგო, რა სასარგებლო პროექტი ხორციელდება თბილისში. საუბედუროდ, ამით მედიაც არ ინტერესდება და ადამიანები ასეთ ამბებს სკანდალების შემდეგ იგებენ. რას ჰგავდა ნაციონალების საქციელი 10 ოქტომბერს საკრებულოს შიგნით ან გარეთ? ისიც კი იკადრეს, რომ მანდილოსნის შემოგზავნა უნდოდათ.

***– ეს მანდილოსანი თქვენი კოლეგაა, კანონით, პარლამენტის წევრებს სათათბირო ხმის უფლებაც კი აქვთ თვითმმართველობის ორგანოებში.***

– ამაზე იურიდიული განმარტება გააკეთა პარლამენტის თავმჯდომარემ. მან აღნიშნა, რომ კანონის ეს ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. დეპუტატს არ უნდა ჰქონდეს უფლება, ჩაერიოს საკრებულოს საქმიანობაში. კანონის ამ მუხლს კარგად იყენებდა და ახლაც იყენებს ნაციონალური მოძრაობა. ის ამ გზით აკონტროლებს საკრებულოებს. ამასთან, აცხადებს, რომ ძლიერი თვითმმართველობა უნდა. ეს არანაირი დემოკრატიის სტანდარტი არაა, როცა თან ნამდვილი თვითმმართველობა გსურს და თან მის საქმეებში ერევი.

***– პოლიციის ამ რაოდენობით თავმოყრა აუცილებელი იყო საკრებულოს შიგნით და გარეთ?***

– ცოტა ხნის წინ, როცა ეს საკითხები საკრებულოსა და მერიაში წყდებოდა, აქციებს მართავდა ნაციონალური მოძრაობა. იქ პოლიცია მინიმალური რაოდენობით იყო წარმოდგენილი. ამას შედეგად მოჰყვა ინფრასტრუქტურის დაზიანება და დანგრევა. ეს ხალხი რას არ აკეთებს, რომ მიიპყროს თავისი გურუს – სააკაშვილის ყურადღება! 20 კაცი რომ შეიკრიბება, მაშინაც ზიანს აყენებენ ქონებას, რომელიც ყველას საერთო საკუთრებაა. ამ ინფრასტრუქტურის შექმნაზე დიდი თანხებია დახარჯული, მაგრამ მას ვანდალურად ექცევიან. ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ მეტი პოლიციელის მობილიზება მოხდა. ეს საჭირო იყო წესრიგის დასაცავად და ვანდალიზმის თავიდან ასაცილებლად. ნაცმოძრაობის პოლიტიკური კულტურა პანდუსების გაფუჭებაა. ნაცმოძრაობამ თავისი სახე კიდევ ერთხელ აჩვენა.

***– სააკაშვილი ახსენეთ. იგი საქართველოს პოლიტიკას არ ეშვება. რას ელოდებით მისგან მომავალში?***

– ძალიან რთული კითხვა დამისვით. ქართული გამოთქმაა, გიჟი მიუშვი ნებასაო. ისინი, ვისაც მსოფლიოს ამა თუ იმ ნაწილში სააკაშვილთან საქმე ჰქონია, მას სერიოზულად აღარ აღიქვამენ. ის გადაიქცა მსოფლიო მასხარად. იგი ვერ იქნება სერიოზული პოლიტიკოსი ვერც უკრაინაში და ვერც საქართველოში. მერჩია, რომ როგორც საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს, სოლიდურობა და სიდინჯე გამოეჩინა და არ გამხდარიყო ყველას დასაცინი. ნაცმოძრაობა მას ბელადად თვლის და საქციელში ბაძავს. როგორც სააკაშვილი იქცევა უკრაინაში, ისე მისი დამქაშები იქცევიან საქართველოში. ეს ნაცმოძრაობის წევრების არჩევანია.

***– სააკაშვილს მომხრეები მესიასავით ელიან. კეთდება პროგნოზები იმაზეც, რომ მას, სწორი გათვლის შემთხვევაში, მიმდევრების რაოდენობა მოემატება.***

– სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლის მოლოდინს ვერავის დავუშლით. მომხრეების რაოდენობის გაზრდისა კი არ მოგახსენოთ! ვინც ამას ვარაუდობს, მას არასწორი წარმოდგენა აქვს ჩვენს ხალხზე. საზოგადოება თავის არჩევანში თითქმის არასდროს ცდება. ვინც ასეთ პროგნოზს აკეთებს, საამისო საფუძველი არ აქვს. ხალხი მომავალშიც ოპტიმალურ, რეალისტურ და სწორ არჩევანს გააკეთებს.

# სესხის ეროვნულ ვალუტაში გაუცემლობის შემთხვევაში სესხის გამცემი 1.000 ლარით დაჯარიმდება

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანა იგეგმება. კანონპროექტის ავტორი ფინანსთა სამინისტრო, ხოლო პარლამენტში ინიციატორი საქართველოს მთავრობაა.



ცვლილებების თანახმად, პირს, რომელიც ასი ათას ლარამდე სესხს ფიზიკურ პირზე ეროვნული ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში გასცემს, შესაძლოა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისროს.

როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, ცვლილების მიზანია შეიქმნას მექანიზმი, რომელიც სახელმწიფოს სასესხო ურთიერთობებში მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით კიდევ უფრო ეფექტურად მოქმედების შესაძლებლობას მისცემს.

– სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-7 ნაწილი გულისხმობს, რომ ფიზიკურ პირზე 100.000 ლარამდე სესხი უნდა გაიცეს მხოლოდ ლარით. გამომდინარე იქედან, რომ სხვადასხვა სუბიექტების მიერ რიგ შემთხვევებში მოცემული მოთხოვნა ირღვევა, ამგვარი ქმედების პრევენციის მიზნით ჯარიმის დადგენაა აუცილებელი, – ნათქვამია განმარტებით ბარათში.

ცვლილებების მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ ფიზიკურ პირზე 100 ათას ლარამდე სესხი ეროვნული ვალუტაში არ გაიცემა, სესხის გამცემი გაფრთხილდება, ხოლო თუ გაფრთხილების შემდეგ ერთი თვის განმავლობაში სამართალდარღვევა არ გამოსწორდება, სესხის გამცემი პირი 1.000 ლარით დაჯარიმდება.

პროექტის მიხედვით, აღნიშნული რეგულაცია არ გავრცელდება „ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონით გათვალისწინებულ საფინანსო სექტორის წარმომადგენლებზე, რადგან მათთან მიმართებით სასესხო ურთიერთობებში მომხმარებელთა ინტერესების დაცვას ეროვნული ბანკი საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში უზრუნველყოფს.

შესაბამისად, რეგულაცია არ ვრცელდება საფინანსო სექტორის შემდეგ წარმომადგენლებზე: კომერციული ბანკი, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება, საბროკერო კომპანია, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორი, აქტივების მმართველი კომპანია, ცენტრალური დეპოზიტარი, სპეციალიზებული დეპოზიტარი, საფონდო ბირჟა, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებელი, სადაზღვევო საბროკერო კომპანია, ანგარიშვალდებული საწარმო, კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი, ფულადი გზავნილების განმახორციელებელი პირი, ვალუტის გადამცვლელი პუნქტი.

რაც შეეხება დარღვევის გამოსწორებას, კანონპროექტის თანახმად, სამართალდარღვევა გამოსწორებულად ჩაითვლება, თუ პირი 100 ათას ლარამდე სესხის ვალუტაში გაცემის მოთხოვნას აღარ დაარღვევს. აღსანიშნავია, რომ სამართალდარღვევის გამოუსწორებლობის გამო ჯარიმის დაკისრების შემდეგ იმავე ქმედების გაგრძელება პირის მიერ ახალი დარღვევის ჩადენად ითვლება და მის მიმართ საქმის წარმოება თავიდან იწყება.

# პაპუაშვილი: „ზოგიერთ სკოლაში რატომ არ ისწავლება რუსული ენა?“



პარლამენტის მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტისა და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის ერთობლივ სხდომაზე უმრავლესობის წევრმა ზაზა პაპუაშვილმა განათლების მინისტრის მოადგილეს კითხვით მიმართა – რატომ არ ისწავლება ზოგიერთ სკოლაში რუსული ენა?

– ზოგიერთ სკოლაში რატომ არ ისწავლება რუსული ენა? ნუ ამოვიჩემებთ ახლა, რომ ოკუპანტის ენაა თუ რაღაც. თქვენი აზრი როგორია? – მიმართა დეპუტატმა განათლების მინისტრის მოადგილეს, რაზეც მურღულიამ უპასუხა, რომ საქართველოს სკოლების სავალდებულო და პრინციპულად მნიშვნელოვანი ენა არის ინგლისური, ხოლო მეორე ენას თავად სკოლა ირჩევს.

– ინგლისური არის ის ძირითადი ენა, რომელზეც დღეს მოიპოვება ყველაზე მეტი მასალა მეცნიერებაში, ყველაზე მეტი საგანმანათლებლო რესურსი. ამასთან, მეორე ენის არჩევანის პრობლემა არც ერთ სკოლას არ აქვს. ეს ენა არჩევითია. თუ სკოლა აირჩევს რუსულ ენას, შეუძლია, რუსული ენა ასწავლოს, – განაცხადა თეიმურაზ მურღულიამ.

პარლამენტის მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტისა და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის ერთობლივ სხდომაზე გუშინ 2018 წლის ბიუჯეტის კანონპროექტს განიხილავდნენ.

# ანაკლიის პორტის მშენებლობა იწყება

ანაკლიის პორტის მშენებლობა დეკემბერში დაიწყება, – ამის შესახებ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ზურაბ ალავიძემ განაცხადა. მისი ინფორმაციით, სწორედ ინფრასტრუქტურის სამინისტრო იქნება უწყება, რომელიც მონიტორინგს გაუწევს მშენებლობას.

ამ პორტის აშენება ჩვენ საშუალებას მოგვცემს, მთლიანად გამოვიყენოთ ჩვენი სატრანზიტო პოტენციალი. ამ პორტის გარეშე ჩვენ ალბათ 80%-ს ვერ ავითვისებთ, რაც გაგვაჩნია ქვეყანაში. პორტის მშენებლობა მიმდინარეობს წარმატებით. დასრულდა ერთი ეტაპი. ეკონომიკის სამინისტრომ საკმაოდ ბევრი იმუშავა და კარგად იმუშავა და მივედით იქამდე, რომ უკვე იწყება მშენებლობა დეკემბრის ბოლოს. აქედან გამომდინარე ეკონომიკის სამინისტრო და მთავრობა ჩართულია ამ პროცესში, რადგან ეს არის საჯარო-კერძო პარტნიორობა. ერთი ეტაპი, იურიდიული ნაწილი, დავასრულეთ. ვიწყებთ მშენებლობას. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გადმოეცა ეს პროექტი. ჩვენ გავუწევთ მონიტორინგს მშენებლობის ფაზას. პროექტი მიმდინარეობს წარმატებით, – განაცხადა ალავიძემ.




მისივე ინფორმაციით, პორტამდე უნდა აშენდეს გზა და რკინიგზა, რომლის საპროექტო სამუშაოები მალე დაიწყება.

რკინიგზა და გზა უნდა მივიდეს პორტამდე. ეს პროექტიც ავალია ინფრასტრუქტურის სამინისტროს. უახლოეს პერიოდში დავიწყებთ დაპროექტებას და როგორც კი მზად იქნება, დავიწყებთ განხორციელებას, – განაცხადა მინისტრმა.

# გვარის მიერ სამი ცხვრის შეწირვა ნებაყოფლობითი ქმედებაა



საქართველოს საპატრიარქო პატრიარქის ქადაგებასთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს. როგორც საპატრიარქოს განცხადებაშია ნათქვამი, დასალოცად მისული გვარის მიერ სამი ცხვრის შეწირვა ნებაყოფლობითი ქმედებაა, რის შემდეგაც ის გაჭირვებულებისთვის გაიცემა:

– შეგახსენებთ, რომ კათოლიკოს-პატრიარქმა გასული კვირის ქადაგებაში ბრძანა, რომ მოყვასისადმი სიყვარულისა და თანადგომის ნიშნად კარგი იქნება, თუ დასალოცად მოსული ესა თუ ის გვარი მთელი გვარის სახელით შემოსწირავს სამ ცხვარს, რომელიც შემდეგ გაჭირვებულებისთვის გაიცემა.

ეს არის ნებაყოფლობითი ქმედება და მისი განხორციელების შემთხვევაში მოწყალება გაკეთდება გვარის სახელით, რითაც ღვთივსათნო საქმე აღესრულება, – აღნიშნულია განცხადებაში.

# ერთ ლარად დამტკიცებულ მიწაზე ინვესტიციის პირობის დარღვევისთვის ჯარიმა 100 ლარია



საქართველოს უმდიდრესმა მოქალაქემ ბიძინა ივანიშვილმა თბილისის ცენტრში 1.900 კვადრატული მეტრის მიწის ნაკვეთი სიმბოლურ ფასად, 1 ლარად დაიკანონა. აღნიშნულ ტერიტორიაზე ბიძინა ივანიშვილის კომპანია „თბილისი სითიმ" მილიონიანი ინვესტიცია უნდა ჩადოს და არანაკლებ 30-ადგილიანი ავტოსადგომი უნდა მოაწყოს.

ტაბულას მიერ მოპოვებული საინვესტიციო შეთანხმების მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ „თბილისი სითი" ტერიტორიაზე 30-ადგილზე მცირე ავტოსადგომს მოაწყობს, ის 100 ლარით დაჯარიმდება.

თავისუფლების მოედანზე მდებარე მიწის საბაზრო ფასი რამდენიმე მილიონ ლარს აღემატება.

ბიძინა ივანიშვილისთვის გაფორმებული კონტრაქტის ზუსტი პირობები ასე გამოიყურება:

**მუხლი 3.1**

– არანაკლებ 1.000.000 (ერთი მილიონი) ლარის ინვესტიციის განხორციელების გზით, პრივატიზებული ტერიტორიის მიწისქვეშ არანაკლებ 30 (ოცდაათ) ერთეულ ავტომანქანაზე გათვლილი ავტოსადგომის მშენებლობა, შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემიდან 12 თვის ვადაში.

**მუხლი 3.2**

– პრივატიზების საგნის მიწისზედა ტერიტორიის კეთილმოწყობა.

**რა სახის ჯარიმებს ითვალისწინებს შეთანხმება:**

ბიძინა ივანიშვილის კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება რამდენიმე სახის საჯარიმო სანქციას ითვალისწინებს. მაგალითად, თუ „თბილისი სითიმ" 1 მილიონის ინვესტიცია განახორციელა, მაგრამ დაარღვია პირობა, რომ მინიმუმ 30-ადგილიან ავტოსადგომს მოაწყობს, 100 ლარით დაჯარიმდება. ხელშეკრულება სხვა ჯარიმებსაც ითვალისწინებს, მაგალითად, თუ ტერიტორიაზე 1 წლის განმავლობაში მიწისქვეშა ავტოსადგომი არ აშენდა, ივანიშვილს ყოველდღიური პირგასამტეხლოს სახით დღეში 50 ლარი დაერიცხება. პრივატიზაციის საფასურის – 1 ლარის გადაუხდელობის შემთხვევაში კი, ივანიშვილი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 5 ლარით დაჯარიმდება.

**მუხლი 6.1**

– საპრივატიზაციო საფასურის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის (1 ლარის არგადახდის შემთხვევაში) ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენს ეკისრება პირგასამტეხლო. პირგასამტეხლო განისაზღვრება გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით (ამ შემთხვევაში 10 თეთრი) დარღვევის დღიდან ყოველ დღეზე, მაგრამ არანაკლებ 5 ლარისა. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება თანხის სრულ დარიცხვამდე.

**მუხლი 6.2**

– ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის (მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობა) დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლო განისაზღვრება 50 ლარის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

**მუხლი 6.3**

– ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების (ინვესტიციის განხორციელება მითითებული ოდენობით) დარღვევის შემთხვევაში ქონების შემძენს დაერიცხება პირგასამტეხლო დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1%-იდ ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ დღეზე.

**მუხლი 6.4**

– ხელშეკრულების 3.1 პუნქტით გათვალისწინებულ საპრივატიზაციო პირობაში მითითებული ავტოსადგომების რაოდენობის (30 ერთეული) დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენს დაერიცხება პირგასამტეხლო 100 ლარის ოდენობით.

**მუხლი 6.5**

– ხელშეკრულების 3.2 პუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზაციო პირობის (ავტოსადგომის ზედა ტერიტორიის კეთილმოწყობა) დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ქონების შემძენს დაეკისრება პირგასამტეხლო 50 ლარით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

❖ ❖ ❖

**რა შენდება თავისუფლების მოედანზე:**

ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული თანაინვესტირების ფონდი თავისუფლების მოედანზე, ყოფილი ცეკავშირის შენობის ადგილზე აშენებს 7-ვარსკვლავიან სასტუმროს, რომელიც Marriott-ის კუთვნილი Autograph Collection-ის ბრენდის იქნება. 1 ლარად გადაცემული ქონებაც სწორედ აღნიშნული სასტუმროს პარკინგი იქნება. თავისუფლებაზე მდებარე სასტუმრო „პანორამა თბილისის" სხვა ნაწილებს სპეციალური საბაგიროთი უნდა დაუკავშირდეს, რომელსაც ფონდი ქალაქის ისტორიული ნაწილის თავზე გაჭიმავს.

კიდევ ერთი ტერიტორია, რომელიც საკრებულომ ბიძინა ივანიშვილს გადასცა, თაბორის მთაზე არსებული 0.4 ჰექტარია. ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიას სარეკრეაციო სტატუსი ივანიშვილის მოთხოვნით საკრებულომ რამდენიმე კვირის წინ მოუხსნა. აღნიშნულ ტერიტორიაზე „პანორამა თბილისის" კიდევ ერთი სასტუმროს, „თაბორი რიზორტსის" ტექნიკური ნაგებობები უნდა განთავსდეს.

თაბორის მთაზე 29.7 ჰექტარი მიწის ნაკვეთი ივანიშვილმა 2016 წელს 6.3 მილიონ ლარად იყიდა. ადგილზე გოლფ კლუბის და სასტუმროს მშენებლობაა დაგეგმილი.

თაბორის მთაზე 0.4 ჰექტარში ივანიშვილმა 102 ათასი ლარი გადაიხადა. ოპოზიციის ინფორმაციით, ტერიტორიაზე მაღალი ძაბვის ქვესადგური მოეწყობა.

# „დეპოზიტების დაზღვევის სისტემა ფინანსურ სტაბილურობას შეუწყობს ხელს

– სააგენტოს შემოსავლები და ვალდებულებები არის დენომინირებული ლარში, შესაბამისად, ჩვენ არ გვჭირდება უცხოურ ვალუტაში ინვესტირება.

2018 წლის პირველი იანვრიდან დეპოზიტების დაზღვევის სისტემა უნდა ამოქმედდეს. მთავრობის დადგენილებით იქმნება დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო, რომელსაც საპენსიო რეფორმის სამსახურის ყოფილი უფროსი **ოთარ ძიძიკაშვილი** უხელმძღვანელებს.

***– რა არის ის მთავარი მიზნები და ამოცანები, რის გამოც დაზღვევის სააგენტო იქმნება და მეორე მხრივ, ჩვენ ვიცით, რომ ევროკავშირთან ნაკისრი ვალდებულების შედეგად, საჭიროა ეს სისტემა ამოქმედდეს. გარდა ამ ვალდებულების შესრულებისა, რა აუცილებლობით იყო ნაკარნახევი მსგავსი რეფორმის განხორციელება?***

– პირველ რიგში უნდა აღვნიშნო, რომ ფინანსური სტაბილურობის დამატებით განმტკიცება არის ამ სისტემის შემოღების ერთ-ერთი მთავარი მიზანი. დღევანდელ დღეს ეს სისტემა მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში მოქმედებს. ამ სისტემის მნიშვნელობა კი დღითიდღე იზრდება და შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში ქვეყნების რიცხვი, სადაც ეს სისტემა მოქმედებს, გაიზარდა 84-დან 125-მდე. ჩვენც გადავწყვიტეთ, რომ დამატებითი კომპონენტი იყო გასააქტიურებელი იმისთვის, რომ დეპოზიტორები იყვნენ დაცული და მეორე მხრივ, მთლიანად სისტემა იყოს დაცული. რა ხდება, როდესაც საბანკო კრიზისი დგება ქვეყანაში? როდესაც ბანკს გადახდისუნარიანობის პრობლემა აქვს, მოქალაქეები პანიკური შიშის საფუძველზე იწყებენ ბანკიდან თანხის გადინებას. ამ პროცესებმა შეიძლება სისტემური ხასიათი მიიღოს და მცირე ბანკში დაწყებულმა კრიზისმა, შესაძლოა გადაინაცვლოს სხვა უფრო მსხვილ ბანკში. სწორედ იმისთვის იქმნება ეს სისტემა, რომ მოქალაქეებს შიშის საფუძველი არ ჰქონდეთ.

***– სისტემის შემოღების შემდეგ რა შეიცვლება საბანკო სექტორის წარმომადგენლებისთვის და დეპოზიტორებისთვის?***

– ეს სისტემა ვრცელდება ფიზიკური პირების დეპოზიტებზე. იურიდიული პირები 2020 წლიდან დაემატება, ვინაიდან ეს არის ევროკავშირის ერთ-ერთი მოთხოვნა და დირექტივა. ნებისმიერ ბანკში მოქალაქეს 5 ათას ლარიანი დეპოზიტი ექნება დაზღვეული. იმ შემთხვევაში თუ მოქალაქეს რამდენიმე ბანკში აქვს თავისი დეპოზიტები გადანაწილებული, შესაბამისად იმდენჯერ 5 ათასი ლარი იქნება დაზღვეული. რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ჩემი აზრით, ეს არანაირ გავლენას არ მოახდენს მათზე, მოსაკრებელი, რაც კანონით დაუწესდათ ბანკებს, შეადგენს ყოველთვიურ გადასახადს 0.067% ლარში განთავსებულ დეპოზიტებზე. დღესდღეობით ძალიან ძლიერი მაჩვენებლით გამოირჩევა საბანკო სექტორი, რაც კარგია ქართული ეკონომიკისთვის. ვვარაუდობთ, რომ 2018 წლისთვის მთლიან საბანკო სექტორს 12 მილიონი ლარი ექნება გადასახდელი დეპოზიტების დაზღვევის ფონდში. საბანკო სექტორი ძლიერი სტაბილურობით გამოირჩევა, თუმცა ეს რეფორმა ქვეყანაში სწორედ იმ მომენტში უნდა განხორციელდეს, როდესაც არანაირი რისკები არ არსებობს საბანკო სისტემაში. შეგვიძლია გადავხედოთ ჩვენს მეზობელ ქვეყნებში არსებულ საბანკო სისტემებს და ვნახავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ



ბოლო ათწლეულების განმავლობაში საბანკო რეგულაციები გაძლიერდა, არაერთი ბანკის გაკოტრება მოხდა. სწორედ მსგავსი სისტემის არსებობამ მოახდინა სიტუაციის გამოსწორება საბანკო სისტემაში.

***– რაც შეეხება დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს, რა იქნება მთავარი შემოსავლის წყაროები და, ასევე, როგორ მოახდენს ფონდში აკუმულირებული სახსრების შემდგომ ინვესტირებას?***

– ყოველთვიური მოსაკრებლის გადახდის ფონზე, ფონდში შემოდის თანხები და თავისთავად მცირე ნაწილი იხარჯება ადმინისტრაციულ საკითხებზე, დანარჩენი ინვესტირდება სხვადასხვა აქტივებში. საინვესტიციო მიმართულებით ეს პარამეტრები კანონში არის გაწერილი და იდენტიფიცირებულია კლასის აქტივები, სადაც შეიძლება სააგენტომ განათავსოს ეს თანხები. ჩვენი მიზანია, რომ ჩვენი განთავსებები იყოს მაღალ ლიკვიდურ აქტივებში. როგორც ცნობილია, კანონის თანახმად, სააგენტოს 20 დღის ვადაში ევალება, რომ ნებისმიერ დეპოზიტარს აუნაზღაუროს თანხა, ლიმიტის ფარგლებში რაც არის დაწესებული. თავდაპირველად ვფიქრობთ, რომ ამ თანხების ინვესტირება მოხდება სახელმწიფო ობლიგაციებში და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოშვებულ ობლიგაციებში. სააგენტოს შემოსავლები და ვალდებულებები არის დენომინირებული ლარში. შესაბამისად, ამ ეტაპზე, ჩვენ არ გვჭირდება უცხოურ ვალუტაში ინვესტირება.

***– არსებობს მოსაზრება, რომ ეს სააგენტო ვერ შეასრულებს იმ ფუნქცია-მოვალეობებს, რაც კანონით არის გაწერილი. რას უპასუხებთ ასეთ არგუმენტებს?***

– ძალიან სამწუხაროა ასეთი არაკომპეტენტური მოსაზრებების მოსმენა. სააგენტოს ექნება თავისი შემოსავლის წყაროები, რომელიც ყოველთვიურად იზრდება და აკუმულირდება სხვადასხვა აქტივებში. კრიზისის შემთხვევაში სააგენტოს ექნება დამატებითი სახსრების მოზიდვის საშუალებაც. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ ზემოხსენებული არგუმენტები არასწორია.

# ლიბერთი ბანკი შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ხელშეწყობას განაგრძობს

ლიბერთი ბანკის დირექტორმა ალექსი ხოროშვილმა და ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი რეჰაბის დირექტორმა დავით შველიძემ ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის გაგრძელებას მოაწერეს ხელი.

მემორანდუმის ფარგლებში, ლიბერთი ბანკი 2017 წლის ბოლომდე განაგრძობს სოციალურად დაუცველი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე იმ ბენეფიციარების რეაბილიტაციის დაფინანსებას, რომლებიც ჯერჯერობით ვერ მოხვდნენ სახელმწიფო პროგრამაში.

შპს ,,ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი რეჰაბი" 2016 წლის დეკემბერში დაფუძნდა და 2017 წლის 1-ელი კვარტალის ბოლოდან ჩართულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციისა ქვეპროგრამებში.

ცენტრი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, აღჭურვილია სათანადო სარეაბილიტაციო ინვენტარით და გააჩნია მკურნალობისათვის საჭირო ადაპტირებული გარემო.

– მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს და ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციისათვის, ჯერ კიდევ არასაკმარისი საბიუჯეტო დაფინანსების პირობებში ბენეფიციართა დიდი რაოდენობა ამ მომსახურეობით დღეისათვის ვერ სარგებლობს, რის გამოც მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ვერ ხერხდება. სწორედ ამიტომ დავიწყეთ




კერძო სექტორში, განსაკუთრებით კი სოციალური პროგრამების განხორციელებაში აქტიურად ჩართული ორგანიზაციებისათვის ინფორმაციის მიწოდება და უნდა აღვნიშნო, რომ ლიბერთი ბანკის სახით ძალიან ღირსეული და ქველმოქმედი პარტნიორი შევიძინეთ. დღეისათვის მათ მიერ დაფინანსებულია 200 ბენეფიციარის 6.600 პროცედურა და ბანკი 2017 წლის ბოლომდე განაგრძობს მათი რეაბილიტაციის ხელშეწყობას, – დავით შველიძე, ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი რეჰაბის დირექტორი

– სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, ლიბერთი ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება არის შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირების ხელშეწყობა. მათი უმრავლესობა ჩვენი ბანკის მომხმარებელია, აქედან გამომდინარე, უშუალო შეხება გვაქვს მათ პრობლემებთან. ვფიქრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია მათთვის ადაპტირებული სერვისების შეთავაზება, მათი მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, რათა თითოეულმა მათგანმა შეძლოს საკუთარი პოტენციალის გამოვლენა და გამოყენება. შედეგის მისაღწევად ბანკი თანამშრომლობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და იმ ორგანიზაციებთან, რომლებსაც კონკრეტული სერვისების მიწოდების გამოცდილება აქვთ, – ალექსი ხოროშვილი, ლიბერთი ბანკის გენერალური დირექტორი

# კახეთში მევენახეების შემოსავლებმა 134 მილიონ ლარს მიაღწია

„რთველი 2017"-ის საკოორდინაციო ცენტრის ინფორმაციით, კახეთში ყურძნის რეალიზაციის შედეგად შემოსულმა შემოსავალმა 134 მილიონ ლარს მიაღწია. ყურძენი კი 14 ათასამდე მევენახემ ჩააბარა.

შტაბში ამბობენ, რომ რთველი წელს რეგიონში წარმატებულად მიმდინარეობდა.



გასული წლებისგან განსხვავებით, წელს ყურძენზე სუბსიდირება არ გაცემულა. ამას ღვინის ეროვნული სააგენტო ღვინის სტაბილურად მზარდი ექსპორტით და კერძო სექტორის მხრიდან ყურძნის შესყიდვის დაინტერესებით ხსნის.

რთველი კახეთში აგვისტოს ბოლოს დედოფლის წყაროდან დაიწყო და ეტაპობრივად რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტი მოიცვა.

## ნუცუბიძის ქუჩაზე ავტომობილი განათების ბოძს შეეჯახა



ნუცუბიძის ქუჩაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

როგორც 1ტვ.გე თვითმხილველებზე დაყრდნობით იუწყება, მსუბუქი ავტომობილი გარე განათების ბოძს შეეჯახა, რის შედეგადაც ბოძი წაიქცა და როგორც ავტომობილი, ასევე სამარშრუტო მიკროავტობუსი დააზიანა. არსებული ინფორმაციით, მომხდარის შედეგად არავინ დაშავებულა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ნუცუბიძის ქუჩაზე მოძრაობა შეფერხდა.

## თელავში სკოლის რეაბილიტაციისას მუშა სერიოზულად დაშავდა



უბედური შემთხვევა მოხდა თელავის რაიონის სოფელ აკურაში. საჯარო სკოლის რეაბილიტაციის დროს იატაკი ჩაინგრა, რის შედეგადაც მუშა დაშავდა.

მდგომარეობა მძიმეა, ახალგაზრდა მამაკაცს ხერხემალი დაუზიანდა. ექიმის ინფორმაციით, პაციენტის სიმძიმიდან გამომდინარე, მისი თბილისში გადაყვანა იგეგმება.

## ავარია დიღმის ტრასაზე — ერთმანეთს 2 მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა



ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა დიღმის ტრასაზე. როგორც „ნიუპოსტს“ თვითმხილველმა აცნობა, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმდებარე ტერიტორიაზე TAV 4 BMW-ს მარკის ავტომობილს შეეჯახა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

## ოზურგეთში ახალგაზრდა მამაკაცი მოკლეს



ოზურგეთში მკვლელობა მოხდა. „ნიუპოსტისთვის“ მოწოდებული ინფორმაციით, მოკლული კოსტავას ქუჩაზე მცხოვრები მერაბ ღაჟონიაა.

როგორც ადგილობრივები აცხადებენ, ის სტუმრად იმყოფებოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მელექედურში.

სავარაუდოდ, მკვლელობა ჩხუბის ნიადაგზე მოხდა.

ოზურგეთის „მედალფას“ კლინიკაში გვეუბნებიან, რომ სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ის საავადმყოფოში გადაიყვანა, თუმცა უკვე გარდაცვლილი იყო.

ეს ოზურგეთში უკვე ამ კვირაში მომხდარი მეორე მკვლელობაა. ორი დღის წინ სოფელ გურაინთაში ახალგაზრდა მამაკაცი საკუთარ საცხოვრებელ სახლთან ჩაცხრილეს.

შსს-ს ინფორმაციით, კოსტავას ქუჩაზე მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) დაიწყო.

# თბილისის სასამართლომ ექიმ-ანესთეზიოლოგს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა




თბილისის საქალაქო სასამართლომ ექიმ-ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი დამნაშავედ ცნო გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისათვის და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა.

საქმის მასალების თანახმად, 2015 წლის 4 თებერვალს, თბილისში მდებარე ერთ-ერთ კლინიკაში, პაციენტს, ჰიდრონეფროზის დიაგნოზით, ჩაუტარდა ოპერაცია და პოსტოპერაციულ პალატაში იმყოფებოდა ანესთეზიოლოგ ვახტანგ ა.-ს დაკვირვების ქვეშ. ავადმყოფის მდგომარეობა დამძიმდა ჰიპოტენზი-არტერიული წნევის ვარდნის გამო. ბრალდებულმა ანესთეზიოლოგმა კი ვერ განახორციელა სუბმკლავის ჩადგმა, არ გადაამოწმა სისხლის უკუდენების შემოწმებით ვენა-კათეტერის სწორად დგომა და ისე განახორციელა ინფუზიური თერაპია.

აღნიშნული მანიპულაციით, დაზიანდა მარჯვენა ლავიწქვეშა ვენისა და გულ-მკერდის არტერია, რამაც ინტრაპრევლარული სისხლდენა გამოიწვია და განვითარდა პოლიორგანული უკმარისობა, ხოლო ჰემორაგიული სითხე დაახლოებით 4 ლიტრის ოდენობით, ფილტვის პლევრაში ჩაიღვარა. ბრალდებული ექიმი უსაფუძვლოდ იმედოვნებდა მდგომარეობის გამოსწორებას, რის გამოც, 6 საათის განმავლობაში პაციენტი ყოველგვარი გამოკვლევების ჩატარების გარეშე ამყოფა.

კლინიკის დირექტორის გადაწყვეტილებით, კატასტროფის ბრიგადამ პაციენტი სხვა ჰოსპიტალში გადაიყვანა, თუმცა გაწეული დროული და ადეკვატური ღონისძიებების გატარების მიუხედავად, მისი სიცოცხლის შენარჩუნება ვერ მოხერხდა.

სასამართლომ, მოწმეთა და ბრალდებულის ჩვენებების, პაციენტისთვის გაწეული სამედიცინო ხარისხის შესწავლის შედეგებისა და სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის გათვალისწინებით, ბრალდებული ვახტანგ ა. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში. სასამართლო დაეყრდნო კომისიური სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას, რომლის თანახმადაც პაციენტის სიკვდილის მიზეზი დაზიანებული სისხლძარღვებიდან ინტრაპრევრალური სისხლდენის გამო განვითარებული პოლიორგანული უკმარისობა გახდა. კლინიკაში სწორი, დროული და ადეკვატური ღონისძიებების ჩატარების შემთხვევაში, 44 წლის ქალის სიკვდილის აცილება შესაძლებელი იყო. სასამართლოს განაჩენით, ბრალდებულს 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, ასევე დამატებით, 2 წლის ვადით, ჩამოერთვა სამედიცინო საქმიანობის უფლება.

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში.

# სადახლოსა და ლაგოდეხში 7.340 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი აღმოაჩინეს



7.340 ღერი არადეკლარირებული სიგარეტის საზღვარზე უკანონოდ შემოტანის 2 ფაქტი აღიკვეთა, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრების მიერ, საბაჟო გამშვებ პუნქტებში ,,სადახლო-საავტომობილო“ და ,,ლაგოდეხი“. კერძოდ, 9 ოქტომბერს, სგპ სადახლოზე, არადეკლარირებული საქონელი (6.200 ღერი სიგარეტი და 52,900 კგ. სხვადასხვა დასახელების ყავა) სომხეთის მოქალაქის, ჰ.ჰ-ს მართვის ქვეშ არსებული ავტომობილის დათვალიერებისას გამოვლინდა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289 მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევ მოქალაქეს ჩამოერთვა არადეკლარირებული საქონელი, სატრანსპორტო საშუალება და შეეფარდა ფულადი ჯარიმა ათასი ლარის ოდენობით. არადეკლარირებული საქონლის ( 11 ლიტრი არაყი და 1.140 ღერი სიგარეტი) უკანონოდ შემოტანის ფაქტი, 10 ოქტომბერს სგპ ლაგოდეხშიც აღიკვეთა. კანონდამრღვევ მოქალაქეს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289 მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, არადეკლარირებული საქონელი ჩამოერთვა და ფულადი ჯარიმა ათასი ლარის ოდენობით შეეფარდა.

# აფგან მუხთარლის მეუღლემ ლეილა მუსტაფაევამ შვილთან ერთად საქართველო დატოვა



აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის მეუღლემ ლეილა მუსტაფაევამ საქართველო დატოვა, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ოჯახის ადვოკატმა არჩილ ჩოფიკაშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, თუ რატომ დატოვა ლეილა მუსტაფაევამ საქართველო და აპირებს თუ არა ის უკან დაბრუნებას, მოგვიანებით გაკეთდება განცხადება.

– ლეილა მუსტაფაევამ გუშინ, გამთენიისას, საქართველო დატოვა შვილთან ერთად. დამატებითი დეტალების შესახებ, თუ რატომ დატოვა და აპირებს თუ არა დაბრუნებას და ასევე სხვა დეტალებთან დაკავშირებით მოგვიანებით „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ და „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი“ გაავრცელებს ინფორმაციას, – განაცხადა არჩილ ჩოფიკაშვილმა.

აზერბაიჯანელი ჟურნალისტი აფგან მუხთარლი, რომელიც თბილისში ოჯახთან ერთად ცხოვრობდა და აზერბაიჯანელი მაღალჩინოსნების შესახებ საგამოძიებო მასალებზე მუშაობდა, თბილისიდან 29 მაისს გაუჩინარდა. მუხთარლის დაკავების შემდეგ მისი მეუღლე ლეილა მუსტაფაევა აცხადებდა, რომ მას უთვალთვალებდნენ, რისი გამოძიების მოთხოვნით შესაბამის უწყებებს არაერთხელ მიმართა.

## რუსთავში მამაკაცი მრავალსართულიანი კორპუსის სახურავიდან გადმოხტომას ცდილობდა



რუსთავში, თოდრიას ქუჩის 9 ნომერში მდებარე მრავალსართულიანი სახლის სახურავიდან მამაკაცი გადმოხტომას ცდილობდა.

როგორც „ნიუპოსტს“ საგანგებო სიტუაციების მართვის ეროვნულ სააგენტოში განუცხადეს, მამაკაცი სამართალდამცავებმა და მაშველებმა უსაფრთხოდ ჩამოიყვანეს.

## საგარეჯოში ავარიას ახალგაზრდა ქალი ემსხვერპლა




საგარეჯოში, კახეთის გზატკეცილის 50-ე კილომეტრში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ახალგაზრდა ქალის სიცოცხლე ემსხვერპლა.

თვითმხილველთა თქმით, ერთმანეთს „მიცუბიშის“ მარკის ავტომობილი და „ფორდტრანზიტი“ შეეჯახნენ. გარდაცვლილი „მიცუბიშის“ მართავდა. რაც შეეხება მიკროავტობუსს, დაშავდა 2 პირი.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით აღიძრა, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

## ავარია ყვარელში — დაშავებულია 3 ახალგაზრდა




კახეთში, ყვარელში, მიკროავტობუსის და მსუბუქი ავტომანქანის შეჯახების შედეგად 3 ახალგაზრდა მამაკაცი დაშავდა.

სამივე მათგანი საავადმყოფოში არის გადაყვანილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის ექსპლუატაციის და მოძრაობის წესის დარღვევას გულისხმობს.

## ენმ-ის კიდევ 11 წევრი სასამართლოს მომდევნო სხდომამდე გათავისუფლდა



თბილისის საკრებულოსთან დაკავებული ნაციონალური მოძრაობის კიდევ 11 წევრის, მათ შორის ვაკის მაჟორიტარობის კანდიდატის კოტე იოსელიანის სასამართლო პროცესი 17 ოქტობრამდე გადაიდო. 11-ვე დაკავებული მომდევნო სასამართლო სხდომამდე გათავისუფლდნენ.

14 დაკავებულიდან სამი – სოსო გურული, ზურაბ ბერიაშვილი და პაატა დევიძე საქალაქო სასამართლომ დილით გაათავისუფლა.

აქციის მონაწილეები პოლიციის მხრიდან ფიზიკურ ზეწოლაზე საუბრობენ.

# მარიანო რახოი: „კატალონიამ უნდა განმარტოს, გამოაცხადა თუ არა დამოუკიდებლობა“



ჟორდი ტურული: „თუ ესპანეთის მთავრობა კონსტიტუციის 155-ე მუხლს გამოიყენებს, მას დიალოგი არ სურს“

ესპანეთის მთავრობა კატალონიის ხელისუფლებას მოსთხოვს განმარტოს, გამოაცხადა თუ არა ავტონომიამ დამოუკიდებლობა, რაც შეიძლება ესპანეთის კონსტიტუციის 155-ე მუხლის ამოქმედების საფუძველი გახდეს.

ამის შესახებ ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარე მარიანო რახოიმ განაცხადა.

– ესპანეთის მთავრობა კატალონიის მთავრობას მოსთხოვს განმარტოს, არის თუ არა გამოცხადებული დამოუკიდებლობა, – განაცხადა მარიანო რახოიმ.

მისი თქმით, აღნიშნული მოთხოვნა საჭიროა ესპანეთის კონსტიტუციის 155-ე მუხლის ამოქმედებისთვის, რომელიც ავტონომიისთვის სტატუსის შეჩერებას ითვალისწინებს.

– პასუხი, რომელსაც კარლეს პუჩდემონი მოგვცემს, განსაზღვრავს ჩვენს გადაწყვეტილებებს უახლოეს დღეებში, – დასძინა მან.

იგივე პოზიცია აქვს მარიანო რახოის მოადგილე სორაია საენს დე სანტამარიას.

– კარლეს პუჩდემონმა სიტუაცია მაქსიმალურ არასტაბილურობამდე მიიყვანა. მისი სიტყვით გამოსვლა იმ ადამიანის გამოსვლაა, ვინც არ იცის, სად იმყოფება, სად მიდის და ვისთან ერთად უნდა წასვლა. ესპანეთის მთავრობას არ შეუძლია აღიაროს რეფერენდუმის კანონიერება, რომელიც შეჩერებული იყო ესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. კატალონიას არ შეუძლია გამოიყენოს 1 ოქტომბრის რეფერენდუმის შედეგები, ვინაიდან ეს არაკანონიერი ქმედება იყო, – განაცხადა მან.

ესპანეთის იუსტიციის მინისტრმა რაფაელ კატალამ ასევე აღნიშნა, რომ პუჩდემონის განცხადება დამოუკიდებლობის შესახებ არ შეიძლება კანონიერად იქნას მიჩნეული.

– ჩვენ არ შეგვიძლია რეფერენდუმი ვაღიაროთ, ვინაიდან ის კანონის დარღვევით ჩატარდა, – აღნიშნა მან.

* * *

10 ოქტომბერს, გვიან საღამოს, კარლეს პუჩდემონმა და კატალონიის სხვა ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას კატალონიის დამოუკიდებლობის შესახებ, თუმცა ეს ნაბიჯი დაუყოვნებლივ განხორციელებული არ იქნება, რადგან კატალონიის ხელისუფლებამ ოფიციალურ მადრიდთან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებები უნდა გამართოს.

კატალონიის ხელისუფლება არ აზუსტებს, თუ რა დრო დასჭირდება მადრიდთან დიალოგის დასამყარებლად, ვიდრე დამოუკიდებლობის შესახებ დეკლარაცია ამოქმედდება. ამის შესახებ ტელეარხ ტვ3-ს კატალონიის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჟორდი ტურულმა განუცხადა.

– ჩვენ არ უნდა დავაწესოთ რამე დრო, ვინაიდან მალე დავინახავთ, რამდენად სერიოზულია ეს ყველაფერი. თუ ესპანეთის მთავრობა კონსტიტუციის 155-ე მუხლს გამოიყენებს, ჩვენ გავიგებთ, რომ დიალოგის გამართვის სურვილი არ არსებობს, – აღნიშნა ჟორდი ტურულმა.

# ტრამპმა ძალოვნებთან თათბირი გამართა

აშშ-ის პრეზიდენტი ტრამპი თავდაცვის მინისტრს, გენერალ მატისსა და გაერთიანებული შტაბების უფროსს, გენერალ დანფორდს შეხვდა. საუბრის ძირითადი თემა ჩრდილოეთ კორეაში შექმნილი მდგომარეობა იყო.

– ძალისმიერი სცენარისთვის მზად უნდა ვიყოთ, – განაცხადა ტრამპმა.

პარალელურად აშშ-მა და სამხრეთ კორეამ



ჩრდილოეთ კორეის საზღვართან ძალის მორიგი დემონსტრირება მოაწყვეს. გაიმართა სამხედრო სწავლებები. ამერიკულმა ავიაგამანადგურებლებმა კორეის ნახევარკუნძულს შემოუფრინეს. კიმ ჩენ ინის მუქარა, ამერიკულ თვითმფრინავებს ჩამოვაგდებთო, ცარიელ სიტყვებად დარჩა.

# ევროპის საპარლამენტო ასამბლეას ახალი პრეზიდენტი ჰყავს

ევროპის საპარლამენტო ასამბლეის (პასე) ახალი პრეზიდენტის არჩევამ დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა. წინა პრეზიდენტი პედრო აგრამუნტი იძულებული გახდა გადამდგარიყო. მიზეზი რუსეთისთვის სანქციების მოხსნისა და მოსკოვის დელეგაციის პასეში დაბრუნების მცდელობა იყო.

ახალი პრეზიდენტის არჩევნებში კენჭს ორი კანდიდატი იყრიდა: ლიტველი ზინგერისი და კვიპროსელი სტელა კირიაკიდესი. უკრაინელები მხარს უჭერდნენ ზინგერისს, რომელიც თავისი ანტიმოსკოვური პოზიციითაა ცნობილი. ლიტველის კანდიდატურა ევროპის სახალხო პარტიამ წამოაყენა, კირიაკიდესის კი – დეპუტატების ჯგუფმა.

პირველ ტურში კირიაკიდესმა უფრო მეტი ხმა დააგროვა, თუმცა ეს საბოლოო გამარჯვებისათვის საკმარისი არ იყო. გამარჯვებული ვერც მეორე ტურმა გამოავლინა. ყველაფერი მესამე ტურში გადაწყდა, როცა გამარჯვებულის ვინაობა უბრალო უმრავლესობით უნდა გადაწყვეტილიყო. კირიაკიდესმა ეს უმრავლესობა მოიპოვა და ევროპის საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე გახდა.



სტელა კირიაკიდესი 1956 წელს ნიქოსიაში დაიბადა. უმაღლესი განათლება აშშ-ში მიიღო. დაამთავრა მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური ფაკულტეტი. კვიპროსის პარლამენტში პირველად 1979 წელს აირჩიეს. ამის შემდეგ 1979-2006 წლებში პარლამენტის დეპუტატი არაერთგზის გახდა. კირიაკიდესი ცნობილია კიბოსთან ბრძოლით. რაც შეეხება რუსეთთან დამოკიდებულებას, ამ საკითხზე მას პოზიცია ჯერ-ჯერობით არ დაუფიქსირებია.

პასე-ს ახალი პრეზიდენტი გათხოვილია, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

პრეზიდენტის პოსტზე ყოფნა კირიაკიადესს მხოლოდ იანვრამდე მოუწევს. ამ დროს პასე-ს პრეზიდენტის მორიგი როტაცია ჩატარდება. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ კირიაკიადესი შეეცდება, პასე-ს პრორუსულ და ანტირუსულ ძალებს შორის ერთგვარი ბალანსი დაიცვას და ზომიერი პოლიტიკა გაატაროს.

# რამდენად იყიდება ჩეხეთი?!

ჩეხეთის პრეზიდენტმა პასე-ს სხდომაზე სკანდალური განცხადება გააკეთა. მან ევროპელებს ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის აღიარებისაკენ მოუწოდა.

– რასაკვირველია, რუსეთმა ყორიმის ანექსია მოახდინა, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამას ვერაფრით ვუშველით! თუ არ გვინდა, რომ ევროპაში დიდი ომი დაიწყოს, ყირიმის ანექსია უნდა ვაღიაროთ, უკრაინას კი კომპენსაცია გადავუხადოთ.




ამ სიტყვებმა უკრაინელთა აღშფოთება გამოიწვია. უმაღლესი რადის ვიცე-სპიკერმა ირინა გერაშჩენკომ განაცხადა, რომ ყირიმი არ იყიდება. დეპუტატმა ოლეგ ლიაშკომ კი ჩეხეთის პრეზიდენტს ასე მიმართა:

– მსურს თქვენი ტერიტორიის ნაწილი ვიყიდო! რამდენად იყიდება ჩეხეთი?! – ამბობს ლიაშკო.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



# განცხადებები

**შევისყიდით წიგნებს!**

ბუკინისტური მაღაზია „არსი“ შეიძენს 1950 წლამდე გამოცემულ წიგნებს, სპეციალისტების ადგილზე მისვლითაც. მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი №16. წიგნების ფოტოები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ელ.ფოსტით: booking.shop@mail.ru ან დაგვირეკეთ ტელ: 557-64-67-60.

**გთავაზობთ სამსახურს**

წიგნის მაღაზია „არსს“ ესაჭიროება გამყიდველი ქუჩაში, მაღაზიის წინ. მისამართი: რუსთაველის გამზირი №16. ტელ: 557-64-67-60.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული რჩევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა – კალცი აუცილებელია გონებრივი განვითარებისათვის, ძვლიან-კუნთოვანი ჩონჩხისთვის, იმუნიტეტისათვის. 95%-ით აითვისება ორგანიზმის მიერ. ტელ: 599-61-75-82.

● გინდა იყო მუდამ ჯანმრთელი? მთელი ორგანიზმის დიაგნოსტიკა – პრობლემების გამოვლინება ადრეულ სტადიაზე. აქცია თვის ბოლომდე, კუპონის წარმომადგენელს ფასდაკლება 30%. ტელ: 595-472-471.

● ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ოზონატორი არის მთელი ოჯახის ჯანმრთელობის საწყისი: ხილისა და ბოსტნეულის დეზინფექცია; წყლისა და საბავშვო ჭურჭლის, სათამაშოების გაწმენდა. ტელ: 599-61-75-82.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# საქართველო ერთა ლიგას დ ლიგიდან დაიწყებს

დასრულდა 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ევროპაში და უეფას ვებგვერდზე უკვე გამოქვეყნდა საბოლოო ვერსია, თუ როგორ გადანაწილდნენ ეროვნული გუნდები ერთა ლიგაში.

როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს ნაკრები ყველაზე სუსტ, დ ლიგაში ითამაშებს.

უეფას წევრი 55 ქვეყნის ნაკრებები ერთა ლიგაში მსოფლიო 2018 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დასრულების შემდეგ უეფას კოეფიციენტების შესაბამისად გადანაწილდნენ.

საქართველოს ნაკრებთან ერთად ჯგუფში მოხვდნენ: აზერბაიჯანი, მაკედონია, ბელარუსი, სომხეთი, ლატვია, ფარერის კუნძულები, ლუქსემბურგი, ყახაზეთი, მოლდოვა, ლიხტენშტეინი, მალტა, ანდორა, კოსოვო, სან მარინო, გიბრალტარი.

ეს ნაკრებები 4 ჯგუფში გადანაწილდებიან და თითოში 4-4 იასპარეზებს.

ჯგუფების გამარჯვებულები, რომლებიც ევრო-2020-ზე შესარჩევი ციკლიდან ვერ მოხვდებიან, მომავალი ევროპირველობის ერთ საგზურს ერთმანეთში გაითამაშებენ. ჯერ ნახევარფინალები შედგება, ხოლო შემდეგ – ფინალი. ამასთან, ჯგუფებში გამარჯვებულები ერთი ლიგით დაწინაურდებიან და ც ლიგაში აღზევდებიან.

ერთა ლიგის დანარჩენ ლიგებში გუნდები ასე გადანაწილდნენ:

**ა ლიგა:** გერმანია, პორტუგალია, ბელგია, ესპანეთი, საფრანგეთი, ინგლისი, შვეიცარია, იტალია, პოლონეთი, ისლანდია, ხორვატია, ჰოლანდია.

აქ 12 ნაკრებია, რომლებიც 4 3-გუნდიან ჯგუფში განაწილდებიან. 2019 წლის ივნისში ჯგუფების გამარჯვებულები ერთა ლიგის პირველ ჩემპიონს პლეი-ოფის სისტემით (ნახევარფინალები, ფინალები, მატჩი მესამე ადგილისთვის) გაითამაშებენ. ოთხი გუნდი, რომელიც ა ლიგაში ჯგუფებში ბოლო ადგილებს დაიკავებს, მომდევნო გათამაშებაში ბ ლიგაში გამოვა.

ის საუკეთესო 4 ნაკრები, რომლებიც ევრო-2020-ზე შესარჩევი ციკლიდან ვერ გავლენ, მომავალი ევროპირველობის ფინალური ეტაპის ერთ საგზურს გაითამაშებენ.

**ბ ლიგა:** ავსტრია, უელსი, რუსეთი, სლოვაკეთი, უკრაინა, შვედეთი, ირლანდია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ჩრდილოეთ ირლანდია, დანია, ჩეხეთი, თურქეთი.

აქაც 12 გუნდია და პრინციპი იგივე იქნება: ჯგუფების გამარჯვებულები მომდევნო გათამაშებაში ა ლიგაში ითამაშებენ, ხოლო ოთხი გუნდი, რომელიც ამ ლიგაში ჯგუფებში ბოლო ადგილებს დაიკავებს, მომდევნო გათამაშებაში გ ლიგაში გამოვა. ის საუკეთესო 4 ნაკრები, რომლებიც ევრო-2020-ზე შესარჩევი ციკლიდან ვერ გავლენ, მომავალი ევროპირველობის ფინალური ეტაპის ერთ საგზურს გაითამაშებენ.

**გ ლიგა:** უნგრეთი, რუმინეთი, შოტლანდია, სლოვენია, საბერძნეთი, სერბეთი, ალბანეთი, ნორვეგია, მონტენეგრო, ისრაელი, ბულგარეთი, ფინეთუ, კვიპროსი, ესტონეთი, ლიტვა.

აქ 15 გუნდია, ამიტომ ერთი ჯგუფი იქნება 3-გუნდიანი, ხოლო 3 ჯგუფში 4-4 ნაკრები ითამაშებს. ჯგუფების გამარჯვებულები მოდევ-




ნო გათამაშებაში ბ ლიგაში იასპარეზებენ, ხოლო 4 გუნდი, რომელიც გ ლიგაში ჯგუფებში ბოლო ადგილებს დაიკავებს, მომდევნო გათამაშებაში დ ლიგაში გამოვა. საუკეთესო 4 ნაკრები, რომლებიც ევრო-2020-ზე შესარჩევი ციკლიდან ვერ გავლენ, მომავალი ევროპირველობის ფინალური ეტაპის ერთ საგზურს გაითამაშებენ.

ერთა ლიგის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრა 2018 წლის 24 იანვარს ლოზანაში ჩატარდება. პირველი ტურის მატჩები 2018 წლის 6-8 სექტემბერს გაიმართება, მეორე – 9-11 სექტემბერს, მესამე – 11-13 სექტემბერს, მეოთხე – 14-16 სექტემბერს, მეხუთე – 15-17 სექტემბერს, ხოლო მეექვსე – 18-20 სექტემბერს.

აღსანიშნავია, რომ რუსეთი და უკრაინა, ასევე, სომხეთი და აზერბაიჯანი ერთ ჯგუფში ვერ მოხვდებიან.

ერთა ლიგის ფინალური ეტაპის კენჭისყრა 2018 წლის დეკემბერში გაიმართება, ხოლო ფინალური სტადია – 2019 წლის 5-9 ივნისს.

ევრო-2020-ზე მოსახვედრი პლეი-ოფის მატჩების კენჭისყრა 2019 წლის 22 ნოემბერს გაიმართება, ხოლო პლეი-ოფები – 2020 წლის 26-31 მარტს.

ევრო-2020-ის საკვალიფიკაციო ეტაპს ფინალური ეტაპისთვის ცვლილება არ შეეხება და ისევ 24 საგზური გათამაშდება.

სამაგიეროდ, შესარჩევი ციკლი სექტემბრის ნაცვლად, 2019 წლის მარტში დაიწყება. ავტომატურად ფინალურ სტადიაზე საგზურს ვერავინ მიიღებს, რადგან მომავალი ჩემპიონატი 13 ქვეყანაში გაიმართება.

შესარჩევ ციკლში 10 ჯგუფი იქნება – თითოეულში 5 ან 6 ნაკრები. ჯგუფებში 1-2 ადგილზე გასული ნაკრებები ფინალურ სტადიაზე ავტომატურად გავლენ. ევრო-2020-ის მონაწილე 20 გუნდი სწორედ ასე გაირკვევა. კიდევ 4 საგზური უეფას ერთა ლიგის ჯგუფების 16 გამარჯვებულს (ოთხივე ლიგის ოთხივე ჯგუფების გამარჯვებული) შორის გათამაშდება.

თითოეულ ლიგაში გამარჯვებულის გამოსავლენად თითო მატჩიანი ნახევარფინალები და ფინალი გაიმართება. ფინალების გამარჯვებულები ევრო-2020-ს საგზურებს მოიპოვებენ.

თუ ერთა ლიგის ჯგუფის გამარჯვებულმა შესარჩევ ციკლში ევროპის პირველობის საგზური უკვე მოიპოვა, მაშინ პლეი-ოფის საგზური ჯგუფის მომდევნო საუკეთესო ნაკრებს გადაეცემა.

თუ რომელიმე ლიგაში პლეი-ოფებისთვის საჭირო 4 გუნდი ვერ შეგროვდება, მაშინ ვაკანტურ ადგილებს ქვედა ლიგების ნაკრებები დაიკავებენ ერთა ლიგაში მათი საერთო რეიტინგის გათვალისწინებით.

# განგაშის ზარმა ჩრდილოეთიდან შემოჰკრა, გეგუჩაძის გუნდი ფარერებზე შერცხვა



**ფარერები-საქართველო 3:1**

1:0 ოლსენი (22), 2:0 ტომსენი (26), 2:1 იაკობსენი (29სკ), 3:1 იაკობსენი (39)

**ფარერები:** კ.ჰანსენი, მაგნუსონი, ვერდუმი, იაკობსენი, ედმუნდსონი, ბიარტალიდი (ი.ოლსენი 70), ტომსენი, მ.ოლსენი, ჰეინესენი, პეტერსენი (ნიკლასენი 90), ბ.ჰანსენი (ანდერსენი 63)

**საქართველო:** კუპატაძე, შულაია, მარგველაშვილი, ტაბიძე, ნადარაია, ხარაიშვილი, ჩაკვეტაძე, მოხევიშვილი (ბერიძე 68), არაბიძე, მიქელთაძე, არველაძე (კოხრეიძე 46)

სირცხვილია და იმედია, სანამ ეს ტექსტი თქვენამდე, მკითხველამდე მოვა, ამ სირცხვილის ავტორს ნაკრები დატოვებული ექნება. ეს იქნება ყველაზე მართებული გადაწყვეტილება. მეტიც, გია გეგუჩაძეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ ფარერები-საქართველოს პირველი ტაიმის შემდეგ უნდა მიეღო.

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მე-3 მატჩი ჩაატარა და მესამე მარცხი იწვნია. თუ წინა ორში განადგურდა (შინ 0:3 პოლონეთთან და სტუმრად 2:5 დანიასთან), ამჯერად უკვე ფარერის კუნძულების გუნდმა მოგვიგო. პრინციპში მოგვიგო, აქაც რბილად არის ნათქვამი – გაგვანადგურა. 3:1 და ეს ერთადერთი გოლიც მასპინძლებმა გაიტანეს საკუთარ კარში.

დამოუკიდებლობის წლებში ქართულ ფეხბურთს უკვე ძალიან ბევრი სირცხვილი შეემთხვა, მაგრამ ჩვენი ფეხბურთის უახლეს ისტორიაში მსგავსი ალბათ არასდროს...

არადა, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში არიან ისეთი ფეხბურთელები, რომლებსაც ეროვნულ ნაკრებში თამაშის პრეტენზია აქვთ. მეტიც, გიორგი არაბიძე და ჯიმი ტაბიძე ეროვნულმა დაუთმო ახალგაზრდულს. ბევრს უკვე მოიაზრებენ ეროვნულის მომავალ „ვარსკვლავებად“.

არ ვიცით რა დავარქვათ ამ ყველაფერს... უპასუხისმგებლობა? უბრალოდ, მოვალეობის მოხდა? არ ვიცით... ზუსტი სახელი ჯერ ვერ მოვძებნეთ...

# მილტონ ჰეიგი: უელსთან კარდიფში თამაში ყველასთვის საამაყოა

2017 წლის ნოემბრის ტესტებამდე 1 თვეზე ნაკლები დარჩა, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები სეზონის ბოლოს ტრადიციულად 3 საერთაშორისო მატჩს გამართავენ.

სერიის პირველ მატჩში საქართველოს ნაკრები კანადის წინააღმდეგ 11 ნოემბერს „დინამო არენაზე“ ითამაშებს, შემდეგ კარდიფისკენ აიღებენ გეზს, სადაც 18 ნოემბერს უელსი გვიმასპინძლებს, ხოლო 2017 წლის სეზონს „ბორჯღალოსნები“ 25 ნოემბერს თბილისში, აშშ-სთან ტესტით დაასრულებენ.

მსოფლიო რაგბის ვებგვერდზე ნაკრების მთავარი მწვრთნელის, მილტონ ჰეიგის ინტერვიუ გამოჩნდა.

– როგორ შეაფასებთ საქართველოში გამართულ 20 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატს?

– საქართველოში ტურნირის ჩატარება და ის, რომ მსოფლიო რაგბმა ჩვენ მოგვანიჭა ეს პასუხისმგებლობა, ჩვენთვის დიდი პატივი იყო. ბევრისგან, ვისგანაც არც მოველოდი, მსმენია, რომ ტურნირი ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა. ამან ქვეყანაში რაგბს კიდევ ერთი დიდი ბიძგი მისცა. ჩვენ ამას რაგბში კიდევ უფრო მეტი ახალგაზრდის მოყვანით და დაინტერესებით ვუპასუხებთ, რომლებიც ახალგაზრდულ პროგრამებში ჩაერთვებიან და ამ დიდი პირამიდის ნაწილი გახდებიან... ეს ჩვენთვის ისევ და ისევ დიდი პატივია და ის, რამაც ჩვენს ქვეყანაში რაგბის პროფილი კიდევ უფრო გაზარდა. ახლა, ჩვენთვის განსაკუთრებული დროა, ვინაიდან ახალგაზრდა მორაგბეების სახით საკმაოდ დიდი სიღრმეები გვეძლევა პოზიციებზე, რომლებიც ეროვნული ნაკრებისთვის მწიფდებიან. უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ამ თაობიდან რამდენიმეს პირველ გუნდში ვიხილავთ. კმაყოფილები ვართ ახალგაზრდული ნაკრებებით, განსაკუთრებით კი 20 წლამდელებით, რომლებმაც წელს მსოფლიო ჩემპიონატის ელიტაში ადგილი შეინარჩუნეს, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, რომ რაგბი საქართველოში მეტად იზრდება და ახალ სიმაღლეებს იკავებს.

– საქართველოს ნაკრებისთვის წარმატებული გამოდგა ამერიკული ტურნე, სადაც კანადისა და აშშ-ის ნაკრებები დაამარცხეთ.

– მთელი კვირის განმავლობაში იდეალურ ამინდში ვარჯიშობდით და ვემზადებოდით – მზე, 25-26 გრადუსი... და უცებ მატჩის დღეს დაგვხვდა ქარი, სიცივე და წვიმა. ეს ჩვენთვის საკმაოდ მნიშვნელოვან და სასარგებლო გამოცდად იქცა, ვინაიდან ყველანი კომფორტის ზონის გარეთ აღმოვჩნდით. არის რაღაცები, რისი გაკონტროლებაც შეგიძლია და რისიც – არა. ცხადია, ამინდს ვერ გააკონტროლებ. ეს ჩვენთვის კარგი მენტალური და ტექნიკური გამოცდა იყო, ვინაიდან უცებ მოგვიწია პირობებისადმი ადაპტირება, რამაც ჩვენი სათამაშო გეგმა შეცვალა. გეგმის მიხედვით ბურთის მეტად გამოყენება გვსურდა, თუმცა ამინდის გამო ამას ვერ გავაკეთებდით და მიხარია, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენს მიზანს მივაღწიეთ.

შემდეგ კვირას კი ყველაფერი საპირისპიროდ მოხდა: კვლავ არასასურველი და რთული ამინდის პირობები – 30 გრადუსიანი სიცხე და 80 პროცენტიანი ტენიანობა. ისევ და ისევ, ეს იდეალური გამოცდა იყო ჩვენთვის, ვინაიდან 2019 წლის მსოფლიო თასზე სწორედ ასეთ ტენიანობაში მოგვიწევს თამაში. ამ პირობებში თამაშზე მიჩვევა და გადაწყობა ძალიან მნიშვნელოვანია და მოდით ვთქვათ, რომ ალბათ ოთხი წლის წინ ამ მატჩს წავაგებდით. ამერიკასთან კარგად დავიწყეთ და ეს ანგარიშში ავსახეთ, შემდეგ თითქოს ჩავარდა გვქონდა, ბოლოსკენ კონცენტრაცია მოვიკრიბეთ და თამაში გამოვასწორეთ. ჩემთვის ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ნამდვილად ვიზრდებით და ვაუმჯობესებთ თამაშს.

– არგენტინის ნაკრებთან გუნდმა ორი განსხვავებული ტაიმი ითამაშა.

– არგენტინა ძალიან კარგი, ძლიერი, ღონიერი და სწრაფი, პირველი დონის გუნდია. თავიდანვე ვიცოდით, რომ ადვილი არაფერი იქნებოდა და რომ ჩვენი შესაძლებლობების ზღვარს გამოვცდიდით, რაც, რა თქმა უნდა, გვინდოდა და ჩვენს მიზანს წარმოადგენდა. ამ თამაშიდან ვისწავლეთ, რომ ძლიერ გუნდთან საწყის 20 წუთში, სუსტი დისციპლინის გამო, მეტოქის-




თვის ბევრი ჯარიმის მიცემა საკმაოდ რთულ პოზიციაში გვაყენებს. ამ დროს მათ 12 ქულა გააკეთეს. მეტოქეს ძალიან კარგი სტარტი გამოუვიდა, ხოლო ჩვენ ვცდილობდით მათ დაწევას, რაც ძალიან გაგვიჭირდა. შესვენებაზე არგენტინელები საკმაოდ დიდი სხვაობით იგებდნენ. ჩვენ არაფერი დაგვრჩენოდა გარდა იმისა, რომ დარჩენილ 40 წუთში ყველაფერი გაგვეკეთებინა, რათა თამაშში დავბრუნებულიყავით, დასაკარგი აღარაფერი გვქონდა. მეორე ტაიმში ძალიან კარგად ვითამაშეთ. არგენტინის ძლიერ ნაკრებს, რომელიც პირველი ეშელონის გუნდია, 4 ლელო გავუტანეთ. ყოველივე ამის შემდეგ, ზაფხულის 3-მატჩიანი ტურნეს შეფასებისას ხვდები, რომ მსოფლიო თასამდე 2 წლით ადრე პროგრესი სახეზეა.

– წელს საქართველოს კიდევ ერთი სერიოზული გამოცდა უელსში ელის, ნოემბრის ტესტებზე მეტოქედ ისევ პირველი ეშელონის გუნდია.

– კარდიფში უელსს ეთამაშო, ყველასთვის დიდი პატივია. დარწმუნებული ვარ, რომ განსაკუთრებული ატმოსფერო და სავსე სტადიონი იქნება. ველით, კარგ თამაშს ვანახებთ და მსოფლიოს ვაჩვენებთ, რომ პირველი ეშელონის გუნდებთან თამაში ნამდვილად შეგვიძლია. ფაქტია, რომ ჩვენი რაგბის ისტორიაში არასდროს მოგვიგია უელსის სიძლიერის გუნდისთვის და ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ვიქნებით თუ არა მზად, რომ ამას მივაღწიოთ.

# შედეგები

10 ოქტომბერი

**ფეხბურთი**

**მჩ-2018. შესარჩევი ეტაპი**

**ევროპა**

| | |
|---|---|
| ბელგია-კვიპროსი | 4:0 |
| უნგრეთი-ფარერები | 1:0 |
| საბერძნეთი-გიბრალტარი | 4:0 |
| ლატვია-ანდორა | 4:0 |
| ლუქსემბურგი-ბულგარეთი | 1:1 |
| ჰოლანდია-შვედეთი | 2:0 |
| პორტუგალია-შვეიცარია | 2:0 |
| საფრანგეთი-ბელარუსი | 2:1 |
| ესტონეთი-ბოსნია | 1:2 |

**კონკაკაფი**

| | |
|---|---|
| ჰონდურასი-მექსიკა | 3:2 |
| პანამა-კოსტა რიკა | 2:1 |
| ტრინიდადი-აშშ | 2:1 |

**ს.ამერიკა**

| | |
|---|---|
| ბრაზილია-ჩილე | 3:0 |
| პარაგვაი-ვენესუელა | 0:1 |
| პერუ-კოლუმბია | 1:1 |
| ურუგვაი-ბოლივია | 4:2 |
| ეკვადორი-არგენტინა | 1:3 |

**აზია. პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ავსტრალია-სირია | 2:1(დდ) |

**აზიის თასი**

| | |
|---|---|
| ავღანეთი-იორდანია | 3:3 |
| ჩინეთის ტაიპეი-ბაჰრეინი | 2:1 |
| თურქმენეთი-სინგაპური | 2:1 |
| ვიეტნამი-კამბოჯა | 5:0 |
| ჰონკონგი-მალაიზია | 2:0 |
| მიანმა-ყირგიზეთი | 2:2 |
| ტაჯკეთი-ნეპალი | 3:0 |
| პალესტინა-ბუტანი | 10:0 |
| ლიბანი-ჩრ.კორეა | 5:0 |
| იემენი-ფილიპინები | 1:1 |
| მალდივი-ომანი | 1:3 |

**ეჩ-2019. შესარჩევი ეტაპი (21)**

| | |
|---|---|
| ყაზახეთი-ბულგარეთი | 1:1 |
| ბოსნია-პორტუგალია | 3:1 |
| სომხეთი-ავსტრია | 0:5 |
| კვიპროსი-ბელგია | 0:2 |
| გიბრალტარი-მაკედონია | 1:0 |
| ლატვია-შოტლანდია | 0:2 |
| თურქეთი-უნგრეთი | 0:0 |
| უკრაინა-ჰოლანდია | 1:1 |
| ფინეთი-დანია | 0:5 |
| ანდორა-ინგლისი | 0:1 |
| ბელარუსი-მოლდოვა 3:1 | (0:1) |
| ლიტვა-პოლონეთი | 0:2 |
| ლიხტენშტეინი-შვეიცარია | 0:2 |
| სერბეთი-რუსეთი | 3:2 |
| ფარერები-საქართველო | 3:1 |
| შვედეთი-მალტა | 3:0 |
| ალბანეთი-ისლანდია | 0:0 |
| ნორვეგია-გერმანია | 3:1 |
| სან მარინო-საბერძნეთი | 0:5 |
| ჩრ.ირლანდია-ესტონეთი | 4:2 |
| სლოვაკეთი-ესპანეთი | 1:4 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# პსჟ ბარსასთან კოუტინიოს გამოც იბრძოლებს




როგორც ჩანს, ფრანგულ პსჟ-სა და ბარსელონას არასპორტული კუთხითაც მოუწევთ ერთმანეთთან შებმა.

ფრანგული მედიის ცნობით, პსჟ ვარსკვლავური ტრანსფერების კუთხით გაჩერებას არ აპირებს და ამჟამად ლივერპულის ვარსკვლავის, ფელიპე კოუტინიოს ყიდვა სურს.

ცხადია, ბარსელონა პსჟ-სთან ერთად ლივერპულის ვარსკვლავისთვის იბრძოლებს, მაგრამ გვარიანი თანხის გადახდა მოუწევს. პარიზული გრანდი „წითლების“ ფეხბურთელში 150 მილიონ ევროს იხდის.

ვარაუდობენ, რომ ნეიმარი, რომელსაც კოუტინიოსთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს, ამის შესახებ დაელაპარაკება და დაარწმუნებს, რომ პსჟ მისთვის უკეთესი გუნდი იქნება. თუმცა, ეს ყველაფერი, ჯერჯერობით, ჭორის დონეზეა.

## მალაიზიური ოჯახი მათ ტუალეტში ამოსულმა უცნობმა არსებამ შეაშინა



მალაიზიის ქალაქ აპორ-სეტარის მცხოვრებმა ვიდეოზე გადაიღო, თუ როგორ მოცოცავს მისი ბინის ტუალეტიდან უცნობი არსება.

25 წლის ფოტოგრაფის ზულ ხანიფა ანიპას თქმით, ის სახლში მეუღლესთან ერთად იმყოფებოდა, როდესაც ტუალეტიდან უცნობი ცხოველი გამოცოცდა.

– ეს შიშის მომგვრელი იყო. ის ტუალეტში ამოვიდა. ვფიქრობ, რომ ის არსება მილებში გაიზარდა, რომლებიც ჩამრეცხთანაა შეერთებული. მე შევამოწმე ყველა შესასვლელი წერტილი, რომელიც მას შიგნით მოხვედრის საშუალებას მისცემდა, მაგრამ ასეთი რამ შეუძლებელი იყო, – განმარტა მალაიზიელმა.

მან დააზუსტა, რომ არსების სიგრძე დაახლოებით ორი მეტრი იყო, „სქელი-სქელი“ ტანით. თავი პატარა, კუდი კი მოკლე ჰქონდა. მისი აზრით, ეს არსება გველი არ ყოფილა. მას ზიანი არავისთვის მიუყენებია.

ცოლ-ქმარმა ცხოველი დაიჭირა, ტომარაში მოათავსა და უახლოეს მდინარეში გაუშვა.

## ამერიკაში მოყვანილი სტაფილო გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა




სტაფილო, რომელიც ამერიკელმა ფერმერმა მინესოტას შტატიდან კრისტოფერ კვალიმ მოიყვანა, მსოფლიოში ყველაზე დიდად აღიარეს და გინესის რეკორდების წიგნში შეიტანეს.

სტაფილოს წონა 10,18 კილოგრამს შეადგენს, რაც ერთი კილოგრამითა და ექვსი გრამით აღემატება ადრინდელ რეკორდსმენს. კვალი საკუთარ წარმატებას ხსნის ნიადაგით, თესლით, ამინდითა და ცოტა იღბლიანობით.

ფერმერმა გადაწყვიტა, გიგანტური სტაფილო არ შეჭამოს და ის ისევ მიწაში ჩარგოს, თუმცა მისმა სიდედრმა უზარმაზარი სტაფილოსთვის პატარა ნაჭრის ჩამოჭრა მაინც მოასწრო.

– ასე რომ, ახლა მას შეუძლია გახდეს ცნობილი ადამიანი, რომელმაც რეკორდული სტაფილო დააგემოვნა, – განაცხადა კვალიმ.

### სპორტი

## ბარსა ყველა შემთხვევაში ესპანეთში ითამაშებს



თუ ესპანური მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას დავუჯერებთ, ბარსელონა, კატალონიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაშიც კი, ესპანეთის ჩემპიონატში და თასზე თამაშს გააგრძელებს.

საქმე ისაა, რომ ბარსელონა კატალონიის ფეხბურთის ფედერაციის წევრია, რომელიც ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციისგან გამოყოფას არ აპირებს და მის იურისდიქციაში დარჩება. ესპანეთის ლიგა, თავის მხრივ, ბარსას ჩემპიონატიდან გასვლის ვარიანტს არ განიხილავს. მოვლენების ასეთი განვითარება პრიმერას სატელევიზიო შემოსავლების მინიმუმ 30-40 პროცენტით შემცირებას გამოიწვევდა, რაც ლა ლიგის ყველა კლუბზე იმოქმედებდა.

შეგახსენებთ, რომ კატალონიაში 1 ოქტომბერს დამოუკიდებლობის რეფერენდუმი ჩატარდა, რომელსაც მადრიდში არალეგიტიმურად თვლიან. დამოუკიდებლად გასვლას, 90 პროცენტზე მეტმა ადამიანმა მხარი კატალონიის დამოუკიდებლობას დაუჭირა, მაგრამ ხმის მიმცემთა რაოდენობა 50 პროცენტი არ ყოფილა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## ექვსი მძარცველი დანაშაულის ადგილიდან ერთი მოპედით გაიქცა



ლონდონში ექვსი მძარცველი, რომლებიც მაჩეტეთი და ჩაქუჩებით იყვნენ შეიარაღებულნი, საიუველირო მაღაზიას თავს დაესხნენ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ბანდიტები დანაშაულის ადგილზე სამი მოპედით მივიდნენ. ძარცვის შემდეგ, მათ ერთი მოპედი ადგილზე დატოვეს და ორით გაიქცნენ, მაგრამ ერთ-ერთი მეზობელ ქუჩაზე დაამტვრიეს, რის შემდეგაც ექვსივე დარჩენილ ერთადერთ მოპედზე დასხდნენ და გაიქცნენ.

– ჩვენთვის ცნობილია, რომ მძარცველების ჯგუფი პანიკაში ჩავარდა და სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტნენ, რათა უფრო ადვილად მიმალულიყვნენ, – განაცხადა დეტექტივმა მეტ ჰოლანდსმა, რომელიც დანაშაულს იძიებს, – საბედნიეროდ ამ თავდასხმის შედეგად არავინ დაშავებულა.

გაძარცული საიუველირო მაღაზია 1775 წლიდან ფუნქციონირებს. მისი კლიენტების რიცხვში შედიოდნენ საფრანგეთის დედოფალი მარია-ანტუანეტა და ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი. უცნობია, თუ რა მასშტაბის ზარალი მიადგა ამ თავდასხმის შედეგად მაღაზიას.

## ზვიგენმა მყვინთავი, რომელიც ვიდეოზე იღებდა, შეაშინა



ავსტრალიის დასავლეთ სანაპიროსთან ვეფხვისებური ზვიგენი თავს დაესხა მყვინთავს, რომელიც მას ვიდეოზე იღებდა.

ტიმოთი ვან ბილენმა წყალქვეშ ქალაქ კორალ-ბეის სანაპიროსთან ჩაყვინთა, რათა გადაეღო ზვიგენი, რომელიც ზღვის კუს მისდევდა. როდესაც მტაცებელმა თევზმა ზღვის ცხოველს ვერაფერი მოუხერხა, ყურადღება მყვინთავზე გადაიტანა. ის ადამიანისკენ წამოვიდა, მაგრამ ბოლო მომენტში შეტრიალდა და გაცურა.

– ზვიგენი თავს არ დამსხმია, მან უბრალოდ გამაფრთხილა, რომ მისგან თავი შორს დამეჭირა, – განმარტა ვან ბილენმა, – ეს იქიდანაც ჩანს, თუ როგორ ნელა წამოვიდა წყლის ზედაპირისკენ და კბენა არც უცდია. მას რომ მოენდომებინა, სულ ადვილად ჩამავლებდა კბილებს.

ვეფხვისებური ზვიგენები ადამიანისთვის უკიდურესად სახიფათო არსებებად ითვლებიან. ისინი სიგრძეში 4,25 მეტრამდე იზრდებიან და წონაში 635 კილოგრამამდე აღწევენ. გინესის რეკორდების წიგნში კი მოხვდა ვეფხვისებური ზვიგენი, რომლის სიგრძემ 5,5 მეტრი, ხოლო წონამ ტონანახევარი შეადგინა.

## ვამპირებზე ნადირობის გამო მალავიდან გაეროს თანამშრომლების ევაკუაცია განხორციელდა



გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და ზოგიერთი არაკომერციული ორგანიზაციის თანამშრომლების მალავიდან ევაკუაცია მას შემდეგ განხორციელდა, როდესაც ქვეყანაში ვამპირებზე ნადირობა დაიწყო. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაცვისა და უსაფრთხოების საკითხთა დეპარტამენტის ანგარიშის თანახმად, ვამპირებზე ხმების გავრცელების მიზეზი გაურკვეველი რჩება. როგორც ჩანს, ისინი მეზობელ მოზამბიკში წარმოიშვა და შემდეგ მალავიში გავრცელდა.

სექტემბრის შუა რიცხვებში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ვურდალაკების ძებნა დაიწყეს და გზებზე 24 საათიანი მორიგეობა შემოიღეს. ხალხის ბრბომ დაიჭირა და მოკლა ვამპირიზმში ეჭვმიტანილი მინიმუმ ხუთი ადამიანი.

– მოვლენების ამგვარი განვითარება პრეზიდენტისა და მთელი ხელისუფლების სერიოზული შეშფოთების საგანს წარმოადგენს, – ნათქვამია განცხადებაში, რომელიც მალავის პრეზიდენტის პიტერ მუტარიკის ადმინისტრაციამ გაავრცელა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაცვისა და უსაფრთხოების საკითხთა დეპარტამენტის ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ.

რესპუბლიკა მალავი აღმოსავლეთ აფრიკაში მდებარეობს და სამ ქვეყანას მოზამბიკას, ზამბიას და ტანზანიას ესაზღვრება.

## პლასტიკური ქირურგიის მოყვარულებს აეროპორტში პრობლემები შეექმნათ



სამი ჩინელი გოგონა აეროპორტში საპასპორტო კონტროლის გავლისას სირთულეებს სახეზე იმ ცვლილებების გამო წააწყდნენ, რომლებიც პლასტიკური ქირურგიის შემდეგ წარმოიშვა.

ქალები სამხრეთ კორეაში შემოდგომის ოქროს კვირის (ჩინური დღესასწაული) დროს გაემგზავრნენ, რომელიც შვიდი დღის მანძილზე გრძელდება. მათ იქ პლასტიკური ოპერაცია გაიკეთეს და უკან დასაბრუნებლად მოემზადნენ, მაგრამ ისინი საპასპორტო კონტროლის გავლის დროს შეაჩერეს.

ოპერაციის შედეგად ცვლილებების, ბინტის სახვევების და სახეზე შესიებულობის გამო, ქალები მათ საბუთებში ჩაკრულ ფოტოსურათებს აღარ ჰგავდნენ.

ფოტოსურათმა, რომელზეც დაბინტული ტურისტები აეროპორტში სხედან ხელში საბუთებით და საიმიგრაციო სამსახურის გადაწყვეტილებას ელიან, ჩინურ სოციალურ ქსელებში ვირუსული პოპულარობა მოიპოვა. მან 51 ათასზე მეტი მოწონება მიიღო.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ასტროპროგნოზი

### 12 ოქტომბერი



**ვერძი** – საოჯახო საქმეები მოაწესრიგეთ და მხოლოდ ამის შემდეგ იზრუნეთ სხვებზე. **კურო** – ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გიუმჯობესდებათ. ნუ გარისკავთ. **ტყუპები** – ჩანაფიქრის რეალიზაციას შეძლებთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება დღეს რეკომენდებული არ არის. **კირჩხიბი** – მძიმე დღეა. თქვენი ძალისხმევა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს. **ლომი** – სამომავლო გეგმებში კორექტივები შეგაქვთ. შესაძლოა, ახალი, საინტერესო სამსახურიც იშოვოთ. **ქალწული** – ჰარმონიული და მშვიდი დღეა. გელით ახალი და სასიამოვნო შეხვედრები. ფინანსებს არ უჩივით. **სასწორი** – ნებისმიერი ახალი წამოწყება გაამართლებს. ამბიციურობა დაუშვებელია. **მორიელი** – კრიტიკული და ცდუნებებით სავსე დღეა. იყავით თავშეკავებული და მშვიდი. **მშვილდოსანი** – ტრანსფორმაციის დღეა. მომავლის თამამად დაგეგმვა გაამართლებს. **თხის რქა** – ნუ იქნებით ეჭვიანი. საღი განსჯა და მოვლენებისადმი ადეკვატური მიდგომა დღის დევიზია. **მერწყული** – ახლობლებთან და მეგობრებთან ურთიერთობა დაძაბულია. სიტუაციას მხოლოდ სიმშვიდითა და ემოციების მოთოკვით თუ განმუხტავთ. **თევზები** – იდეების რეალიზაციაში ხელი გეშლებათ. იოლად ნურავის მიენდობით. პირად ცხოვრებაში არავინ ჩარიოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. კომპანიის, ფირმის ფინანსური მდგომარეობის, ქონების შემფასებელი ექსპერტი; 2. ალ. ყაზბეგის მოთხრობა; 3. სისხლის თხევადი ნაწილი; 4. უძრავი ქონების დროებით დაქირავება; 6. პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანება უმაღლეს სასწავლებელში; 9. აკვალანგის გამომგონებელი ფრანგი ოკეანოგრაფი; 11. მე-18 საუკუნის იტალიელი მევიოლინე, კომპოზიტორი, დირიჟორი; 15. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 16. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 17. გულიანი კანფეტი; 19. ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხი; 21. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 22. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

**თარაზულად:** 5. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი; 7. დედამიწის ჩრდილო პოლარული ზონა; 8. ოქროს წვრილი ჯაჭვი; 10. ქართველი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 12. თვითმფრინავთმშენებლობის ერთ-ერთი ცენტრი ინგლისში; 13. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 14. პარფიუმერიული კომპანია „ორეალის“ მფლობელი; 18. დიდი სიცხე; 20. ქერისა და შვრიისგან დამზადებული უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 23. ლიტველი კომპოზიტორი მამაკაცი; 24. აეროპორტი პარიზში; 25. მდინარის ჩქერებიანი მონაკვეთი; 26. აღდგომის მისალოცი სიმღერა; 27. იტალიური რესტორანი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. გერმანია; 2. ვერდი; 3. დეკანოზი; 4. ბელუჩი; 7. ებანი; 9. ისანი; 12. აგლომერატი; 14. ფეიხოა; 15. მზითევი; 17. მოლუსკი; 20. ბენდი.

**თარაზულად**: 5. ზედაზენი; 6. ბიენალე; 8. ჭიდაობა; 10. ბანკროტი; 11. ნილოსი; 13. ეპილოგი; 16. ბიოსფერო; 18. ნორმა; 19. სიმდი; 21. ტენორი; 22. ევრიპიდე; 23. კრიკეტი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ლეჟავა; 2. კანოე; 3. გრიზლი; 4. მანეჟი; 6. მორავია; 9. ქარვა; 11. სალხინო; 15. კურცხაარი; 16. ნადალი; 17. ავადჰარა; 19. იმერეთი; 21. მალხაზი; 22. ცაცხვი.

**თარაზულად**: 5. სელექცია; 7. ორატორი; 8. ანდორა; 10. პანტერა; 12. ჟიჟვა; 13. ონიმა; 14. რევოკაცია; 18. ლახტი; 20. საზვეი; 23. ჩალხია; 24. ლელო; 25. ფელახი; 26. ვერა; 27. აზბესტი.

# ვანოს შოუ ეთერში ისევ არ გავა




იუმორისტული გადაცემა „ვანოს შოუ“ ეთერში არც ამ პარასკევს გავა.

ამის მიზეზი გადაცემის წამყვანის ვანო ჯავახიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაა. განცხადება ვანოს შოუს ოფიციალურმა გვერდმა გაავრცელა:

– ვანოს ჯანმრთელობის პრობლემის გამო გადაცემა ამ პარასკევსაც არ გავა ეთერში!

პ.ს. მადლობა სიყვარულისთვის! დაგიბრუნდებით მომავალ პარასკევს!

# დეკანოზი ილია ჭიღლაძე: „განადგურებული ფრესკები ბედიის კათედრალში“



დეკანოზი ილია ჭიღლაძე აფხაზეთში, ბედიის მონასტერში განადგურებული ფრესკების ფოტოებს ავრცელებს:

– გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ მესამე ბაგრატიონის და ოდიშის, ანუ სამეგრელოს ერისთავთ-ერისთავის გიორგი დადიანის და მისი დედის, სამეგრელოს დიოფალთ-დიოფალ მარეხის განადგურებულ ფრესკებს ბედიის კათედრალში.

წარმოგიდგენთ ძველ ფოტოს, 1960-70-იანი წლებისას და თანამედროვე მდგომარეობის ამსახველ ფოტოს. ამჟამად გადარჩენილია მხოლოდ ორიოდე გრაფემა, კარგად იკითხება ქართული ასომთავრული ასო „ო“ სიტყვიდან „დეოფალით-დეოფალი“ დედა-შვილი დადიანის საკტიტორო ფრესკიდან. ეს საკტიტორო ფრესკები მიეკუთვნებოდა მე-14 საუკუნეს და განთავსებული იყო ტაძრის სამხრეთ კედელზე, კარების მარცხნივ. სჩანს, რომ ფრესკები განზრახაა განადგურებული ქართული წარწერების და გამოსახულ პირთა ქართველობის გამო.



პ.ს. თანამედროვე ვითარების ამსახველი ფოტოები ინტერნეტში მოვიპოვე ამ წინა თვეებში და, სამწუხაროდ, ავტორი არ ჩამინიშნავს, რისთვისაც ბოდიშს ვუხდი.

# სამგლოვიარო განცხადებები

დემურ გადელია, პეტრე ბერაია, ვიტალი ხაზარაძე, თემურ კალანდაძე, ვახტანგ კიკნაძე, საველი მარსაგიშვილი, ბესიკ კილასონია, ოთარ ვასაძე, რომან კვაჭაძე, ელიზბარ ლომინაძე, თენგიზ კალანდაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, მეცნიერის, აკადემიკოს

**ფრიდონ თოდუას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დილარ ივარდავა, სოსო ნაყოფია ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან დიდი მამულიშვილის, აკადემიკოს

**ფრიდონ თოდუას**

გარდაცვალებას და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ვენერა და ნიკოლოზ ჭუმბურიძეები მწუხარებით იუწყებიან მეგობრის, მამუკა ყლარჯეიშვილის მამის

**ალექსანდრე ყლარჯეიშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

დემოკრატიული მოძრაობა ღრმა მწუხარებით იუწყება, პარტიის კასპის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის

**გოჩა მამულაშვილის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# სერგო ფარაჯანოვი ბრიტანეთში საუკეთესო რეჟისორად დაასახელეს



ცნობილი რეჟისორი სერგო ფარაჯანოვი ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ საუკეთესო რეჟისორად დაასახელა. სპეციალურად მომზადებულ სტატიაში ჩამოთვლილია ის ფილმები, რომლებიც მაყურებლის აღქმით ვიზუალურ პოეზიას უტოლდება.

სერგო ფარაჯანოვი ლირიული კინოს ფუძემდებლად არის დასახელებული. სტატიის ავტორი წერს, რომ რეჟისორის მიერ სოციალური რეალიზმის უარყოფამ გამოიწვია ის, რომ სერგო ფარაჯანოვის ფილმები აკრძალეს.

ჟურნალისტი რეჟისორის შემოქმედებიდან ორ ფილმს გამოარჩევს „მივიწყებულ წინაპართა აჩრდილები“ და „ბროწეულის ფერი“, თუმცა მისი მტკიცებით, „ბროწეულის ფერი“ არის ფილმი, რომელიც ცდება ჩვეულებრივი ფილმის ჩარჩოებს და ის სულ სხვა განზომილებას მიეკუთვნება.

# ზუმბა: „ახალი საქართველო მზადაა განვითარებისთვის!“



ამერიკაში მოღვაწე ქართველი მუსიკოსი და მომღერალი ზუმბა, იგივე ზაზა კორინთელი დარწმუნებულია, რომ ახალი საქართველო განვითარებისთვის მზადაა, ამის განსახორციელებლად მხოლოდ ახალი თაობისთვის გზის დათმობაა საჭირო:

– თქვენ, სულით უსულო, მორალით სოციალისტ-საბჭოთა, სახელმწიფოებრივ-მოქალაქეობრივად ჩამოუყალიბებელი, ფსევდო-ტრადიციონალისტი და მხოლოდ ფიზიკური მოცემულობით ქართველები ვერასოდეს მიხვდებით და იგრძნობთ დამოუკიდებელი, თავისუფალი და წარმატებული ქვეყნით სიამაყის განცდას!

თქვენთვის ყოველთვის სულერთი იქნება ამ აღმატებული იდეისთვის შეწირულ-გაწირულ გმირთა სიცოცხლე და მათი ცხოვრების წესი! დიდი ხანია ფასეულობათა საცერში გაცრის დროა! თქვენ, რაც არ უნდა ახალი სისხლი ისხათ, მაინც არაფერი გეშველებათ იმიტომ, რომ სხეული და სული დიდი ხანია გახრწნილი გაქვთ.

დროს კი ვერაფერი შეაჩერებს! ვერც უკან დაატრიალებთ! ის მხოლოდ წინ მიდის! ახალი საქართველო მზადაა განვითარებისთვის!

ჩამოეცალეთ და გზა დაუთმეთ პატრიოტ, პროფესიონალ ახალგაზრდა თაობას! თქვენ კი, დაღლილებმა და ათასი იზმით გამოსავათებულებმა ან დაისვენეთ, ან გაა..ით მოუსვლელში! საბოლოოდ აყროლდით! სუნი აგდით!

# ნინო თარხნიშვილი გოგონების საერთაშორისო დღეს ეხმაურება




11 ოქტომბერი მსოფლიოში გოგონების საერთაშორისო დღედ არის გამოცხადებული. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივით, მსოფლიოს გოგონათა დასაცავად 11 ოქტომბერია დაწესებული.

მწერალი ნინო თარხნიშვილი ამ დღეს სპეციალური ჩანაწერით ეხმაურება:

– ბრძოლა საშოდან იწყება.

ჯერ კიდევ მაშინ იწყება ბრძოლა, სანამ საშო შენი სახლია და წესით, შენი ციხე-სიმაგრეც.

მაგრამ ბრძოლა მაშინ იწყება, თუკი არ გაგიმართლა და ჩაისახე ამ საშოში მაგალითად, მეორე გოგოდ ან მესამედ ან ღმერთმა ნუ ქნას და ფუი ეშმაკს, მეოთხედ.

და ექიმმა ჯერ კიდევ საშოდ მყოფს, შეამჩნია, რომ შენი გენიტალია შენი მშობლების სურვილებს და ოცნებებს არ ემთხვევა...

და თუკი მაინც გაგიმართლა და მშობლებმა ნაადრევად არ გამოგდევნეს საშოდან,

მაშინ კიდეც გამოძვრები ცხრა თვის თავზე და შენს დანახვისას სევდიანად გადააქნევენ ნათესავები თავებს და მამას გაგიმხნევებენ, „შემდეგი ბიჭი იქნება“.

დედა კი თითქოს დამნაშავეაო, მდუმარედ ჩაგჩრის პირში გამკვრივებულ კერტს და შენც დაუწყებ ლოღვნას...

მერე უკვე მთავარია, კარგად ისწავლო ძუძუს წოვა.

თავის დაცვა ისწავლო – და პირველ რიგში, მშობლებისგან, ახლობლებისგან,

რომ ერთ დღეს, 14 რომ შეგისრულდება, არ გადაწყვიტონ და გაგასაღონ როგორც რომ ტვირთი,

და მერე თქვან, რომ პატრონს ჩაბარდი

და ერთ დილასაც აღმოაჩინო, რომ შენ ბავშვურ საშოში დაუდვია ბინა კიდევ ერთ ბავშვს

და რა მისი ბრალია,

მაგრამ ჯერ კიდევ არდაბადებულს, მასაც სხვებივით

წაურთმევია შენთვის თავისუფლება –

გეთამაშა, გევლო სკოლაში, წიგნი გეკითხა

და მერე, იქნებ, წლების მერე, სიყვარულიც გეპოვნა სადმე...

# ნინი ნებიერიძე დედა მეორედ გახდება



მოდელი ნინი ნებიერიძე, რომელსაც 7 თვის ბიჭი ჰყავს, დედა მეორედ გახდება. ის და მისი მეუღლე თემურ უგულავა მეორე შვილს ელოდებიან.

ორსულობის დამადასტურებელი ფოტო მოდელმა სოციალურ ქსელში გაავრცელა და ინტერნეტმომხმარებლებისგან ბევრი მოწონება და დადებითი კომენტარი დაიმსახურა.

ნინი ნებიერიძე და თემურ უგულავა საფრანგეთში ისვენებენ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# პროგრამა

**ხუთშაბათი 12 ოქტომბერი**

**06.00** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **06.30** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა მორგან ფრიმანთან ერთად " **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მხიარული ფერმა" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00, 03.30** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "არჩევნები" **14.00, 04.30** დღის მხ/ფ "**მისი მსახურის და**" (დ.დურბინი) **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** დოკ/ფ "გონების თამაშები" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** დოკ/ფ "თოფ-გიარი" **22.00** ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" **23.00** მხ/ფ "**და ვინჩის კოდი**" (ო.ტოტუ) **01.30** მხ/ფ "**რკინის უილი** " (კ.სპეისი)

**06.30, 16.00** სერ. "**ტყუილი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.05** ქრონიკა **10.10, 14.40** სერ. "**ელიფი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**ქალაქის გული**" 1 სერ. **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ძმა**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** სპორტი იმედზე **00.30** მხ/ფ "**მზარეული ადამ ჯონსი**" **02.20** მხ/ფ "**მკვლელების სამეფო**" **04.20** მხ/ფ "**საჩუქარი**"

**06.00, 18.50** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამთილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.00** კურიერი **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**უსასრულო მოლოდინი**" **22.00** პროფილი **23.30** გააცინე და მოიგე **01.30, 02.30** მხ/ფ **03.15** კურიერის დაიჯესტი **04.30** მხ/ფ

**tv პირველი** **7.55** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**ცხოვრების გზა**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **13.40** უცხოეთის ამბები **14.00, 16.00** დღის ამბები: დ. ტრაპაიძე, ი. გრიგოლია, ვ. სანაია. **15.00, 22.30** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00** მხ/ფ **20.00** რეაქცია **23.00** ქართ. სერ. "**ელიტარული დახმარება**"

**08.00** ან/ფ "ავატარი" **09.00** სერ. "**ცისფერი სისხლი-3**" **11.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები 3**" **13.00** სერ. "**ძვლები 9**" **17.00** სერ. "**სამხედროების ცოლები**" 2-3 სერ. **19.00** სერ. "**ცისფერი სისხლი-3**" **21.00** სერ. "**სპირალი 4**" 1 სერ. **22.30** სერ. "**ბორჯია 3**" 2-3 სერ. **00.30** მხ/ფ "**ძველი მეგობრები**" **02.15** მხ/ფ "**ქორწინების ლიცენზია**" **03.50** მხ/ფ "**ჯეკი**" **05.50** მხ/ფ "**მკვდარი პოეტების საზოგადოება**"

**08.00** ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.00** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.20, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40, 00.40** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.10** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.45** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **21.00** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** სახალხო კონტროლი **00.00** სერ. "**შავი სია**" **3.45** ცენზურის გარეშე

**06.05** საეკლესიო კალენდარი **06.15** ქრისტიანული ხელოვნება "საქართველოს სამღვდელოების საეკლესიო მუზეუმი" **06.25** მუს. პაუზა **06.40** პატერიკი-ღვთისმშობლის სასწაული **06.45** ერთი ექსპონატი, ერთი ისტორია **07.25** ქართული ალბომი **07.50** სამყაროს შექმნა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** დ/ფ "ველური ბუნება-სპილოების დაჭერა" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** შარავანდედი "ელენე ახვლედიანი, იოსებ გრიშაშვილი" **10.40** საღვთისმეტყველო საუბრები **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**ჭირვეული მეზობლები**" **13.30** ან/ფ "ტარზანი" **14.40** გამოყენებითი ხელოვნება "გობელენი" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ბარტ ვულფი-ვაშინგტონი" **15.50** ტრაპეზი "კალმახი სოკოს სოუზით" **16.00** კონცერტი **17.00** ქრისტიანული ხელოვნება "სვეტიცხოველი და მისი რელიეფური მორთულობა" **18.10** ბავშვები მუზეუმში **18.40** ძველი ათქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**თოჯინები იცინიან**" **20.40** ძილი ნებისა "წმინდა ნინო მაცხოვრის შესახებ" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.15** დ/ფ **22.20** ჩვენი საგანძური "აფხაზეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა" **22.35** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ. მხ/ფ "**მიხა**" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** დ/ფ "ირაოყუმისთავი-უშბა" **01.30** მხ/ფ "**განძი**"

**მაესტრო** **10.00 - 23.00**

ახალი ამბები - მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.12 - 03.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 17.30 - 03.30** ბიზნესი (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.45 - 03.45** ტექნოლოგიები (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.48 - 03.50** სპორტი (განმეორება ყოველ ერთ საათში)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

12 ოქტომბრისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.4786 | ევრო — 2.9109 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2591 | 100 რუსული რუბლი — 4.2432 |

## ამინდის პროგნოზი 12 ოქტომბრისთვის




## 3 ოქტომბრიდან




იორამ ჩადუნელი

# საზღაური

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## ხულოში მწვანე ტბის ფსკერიდან გაუხსნელი ფრანგული კონიაკი ამოიტანეს



სამეცნიერო კვლევის დროს ხულოს მწვანე ტბაზე კონიაკი იპოვეს. ექსპედიციის წევრებმა ფრანგული კონიაკი ტბის ფსკერიდან ამოიღეს.

ინფორმაციას და ფოტომასალას სოციალურ ქსელში გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსი თამარ ბაგრატია ავრცელებს.

„ალექსანდრ კურაკინი, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ზღვის ბიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მყვინთავ-ბიოლოგი გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებთან ერთად მწვანე ტბის კვლევას ახორციელებს და წყალქვეშა გადაღებებს. SOS! ტბის 8 მეტრის სიღრმეზე ნაპოვნია კონიაკის ბოთლი! თუ მფლობელი 1 საათში გამოჩნდება, დაუბრუნდება!" — წერს თამარ ბაგრატია ფეისბუკზე.

მწვანე ტბაზე სპეციალისტებმა კვლევა ჩაატარეს, რომლის მიზანიც ტბის ბიოლოგიური და ტურისტული პოტენციალის დადგენა იყო. პირველადი შედეგების მიხედვით, ტბის მაქსიმალური სიღრმე 11 მეტრია. საბოლოო დასკვნა 10 დღეში გახდება ცნობილი.

## სერხიო აგუერო ვარჯიშს დაუბრუნდა



მანჩესტერ სიტის არგენტინელი ფორვარდი სერხიო აგუერო მსუბუქ ვარჯიშს დაუბრუნდა, თუმცა მისი თამაში ჯერჯერობით ნაადრევია.

შეგახსენებთ, რომ აგუერო ავარიაში მოყვა ამსტერდამში და ამის შედეგად მან ნეკნები დაიზიანა. აგუეროს მძიმე ტრავმა არ მიუღია, მაგრამ მას მაინც მოუწევს დროებით ფეხბურთისგან დასვენება. ექიმების პროგნოზით, ის დაახლოებით ერთი თვე იუქმებს. წლევანდელი სეზონი აგუეროსთვის კარგად დაიწყო, მაგრამ ტრავმებმა მას შესაძლოა ხელი შეუშალოს. სერხიოს თქმით, ის შეეცდება, რომ მოედანს მალე დაუბრუნდეს.

## ბეილმა კრის კოულმენს დარჩენა სთხოვა



გარეტ ბეილმა უელსის ნაკრების მთავარ მწვრთნელზე ისაუბრა და მას დარჩენა სთხოვა. ბეილის თქმით, კრის კოულმენი სწორედ ის ადამიანია, ვინც უელსელებს ბევრი წარმატება მოუტანა.

— მესმის, რომ ახლა რთული მდგომარეობაა, რადგან მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ გავედით, მაგრამ კოულმენი უნდა დარჩეს, რადგან მასთან ერთად ბევრს მივაღწიეთ და, დარწმუნებული ვარ, მომავალშიც მივაღწევთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მისი ხელმძღვანელობით ევროპის ჩემპიონატზე ნახევარფინალში გავედით, — განაცხადა გარეტ ბეილმა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## იუმორი



შვილი მამას ეუბნება:
— მამა, ბალეტზე მინდა შევიდე.
— არა, შვილო, სახიფათოა.
— რატომ?
— ფეხებს მოგამტვრევ!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
— ტელევიზორში პრეზერვატივების რეკლამა რატომ აღარ გადის?
— ხალხს თავგზა რომ არ აერიოთ.
— რატომ?
— წინასაარჩევნო აგიტაცია დაიწყო.

•••

საავადმყოფოს სექსუალური აშლილობის განყოფილების რეგისტრატურაში მოხუც მამაკაცს ეუბნებიან:
— ბაბუა, კიდევ ერთხელ გიხსნი, თქვენ არასწორად მოისმინეთ ჩვენი რეკლამა, ჩვენ ვზრდითი, მაგრამ არა პენსიას!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:
— სიზარმაცის შემოტევები თუ გემართება?
— არა, აქტიურობის შემოტევა მემართება ხოლმე!

•••

ტელეფონი რეკავს:
— ალო! გოგი, დაბადების დღეს გილოცავ!
— მადლობა და რომელი ხარ?
— ეს მე ვარ, შენი აუხდენელი ოცნება!
— ფერარი?

•••

კაცი რკინიგზის სადგურში კითხულობს:
— სად არის ბათუმის მატარებელი?
— უკვე წავიდა.
— სად?

•••

კაცი ექიმს ეუბნება:
— ექიმო, ძალიან მტკივა ჭიპქვეშა ალაგი.
— გაიხადე და გაგსინჯავ!
— რავა, ჩემი არ გჯერა თუ?!

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:
— რა მოგივიდა, ყავარჯნებით რატომ დადიხარ?
— ავტოავარიაში მოვყევი.
— რა საშინელებაა! და ახლა ყავარჯნების გარეშე ვეღარ ივლი?
— ეშმაკმა უწყის. ექიმი მეუბნება, რომ შემიძლია, ადვოკატი კი მეუბნება, რომ არავითარ შემთხვევაში.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## 5 ოქტომბრიდან




# რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

## 10 ოქტომბრიდან

# ქართული ჰაგიოგრაფია

წიგნში თავმოყრილია სამი ჰაგიოგრაფიული ძეგლის — „შუშანიკის წამების", „აბოს წამებისა" და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" — პარალელური ტექსტები, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ძველ ქართულ ორიგინალს, ხოლო მეორე — ახალ ქართულ ენაზე შესრულებულ უზუსტეს ვერსიას.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



## მესიმ არგენტინა რუსეთში გაიყვანა



არგენტინის ნაკრებმა მოახერხა მსოფლიოს ჩემპიონატზე საგზურის მოპოვება, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებმა საქმე ბოლო ტურამდე მიიყვანეს და ეკვადორთან მათ მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს.

ეკვადორმა მატჩის პირველივე წუთზე მოახერხა გოლის გატანა, მაგრამ ამის შემდეგ მოედანზე მესის მაგია ამოქმედდა და ლეომ სამჯერ მოახერხა მეტოქე გუნდის კარის დალაშქვრა. საბოლოოდ არგენტინამ 3:1 მოიგო და მესამე პოზიციაზე გავიდა. არგენტინის გარდა მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილიის, ურუგვაის და კოლუმბიის ნაკრებები ითამაშებენ, ჩილე კი მსოფლიო ჩემპიონატის მიღმა დარჩა.

## არიენ რობენი ნაკრებში აღარ ითამაშებს



მიუნხენის ბაიერნის ერთ-ერთმა ლიდერმა, ჰოლანდიელმა არიენ რობენმა ნაკრებში კარიერა დაასრულა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ჰოლანდიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გავიდა.

რობენის თქმით, ის უკვე ახალგაზრდა არ არის და ნაკრებში მაღალ დონეზე თამაში მისთვის რთული იქნება.

— 33 წლის ვარ და ვფიქრობ, ნაკრებში ჩემი შესაძლებლობები ამოვწურე. ჰოლანდიის ნაკრებთან ერთად უამრავი გამოცდა გამოვიარე და ბევრი რამ კარგად მახსენდება. ვამაყობ, რომ ჩემი ნაკრებისთვის სასარგებლო ვიყავი, — განაცხადა არიენ რობენმა.

რობენის დებიუტი ჰოლანდიის ნაკრებში 2003 წელს შედგა.

## ვლადიმერ ვაისი საქართველოს ნაკრებში დარჩება



საქართველოს ნაკრების სლოვაკი დამრიგებელი ვლადიმერ ვაისი სავარაუდოდ ნაკრებთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს. ამის შესახებ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა ისაუბრა.

კობიაშვილის თქმით, ვაისთან აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს და შეთანხმება თითქმის მიღწეულია. თვითონ ვაისი ჯერჯერობით კომენტარისგან თავს იკავებს. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებმა შესარჩევ ჯგუფში ვერც ერთი შეხვედრის მოგება ვერ შეძლო, თუმცა ყველა მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. „კლდის ვეფხვად" წოდებული ქართველი ალპინისტი; 2. უმცროსი მატროსი გემზე; 3. მაიმუნის ძველი ქართული სახელწოდება; 4. უბანი თბილისში; 7. მაღალხარისხოვანი მინა; 9. კათოლიკე მღვდელი ბელგიასა და საფრანგეთში; 12. ნიშანთვისებათა ერთობლიობა რაიმეს შეფასებისა და კლასიფიკაციისთვის; 14. გულუხვი მასპინძელი; 15. ხორბლის ქართული ჯიში; 17. წვრილად დაკეპილი ხორცის, თევზის ან რაიმე სხვა პროდუქტების პასტისებრი მასის მქონე საჭმელი; 20. ანტონიო გაუდის დაპროექტებული პარკი ბარსელონაში.

**თარაზულად:** 5. ტემპერატურის შკალის გამომგონებელი შვედი ასტროფიზიკოსი; 6. ძვირფასი სარეწაო თევზი; 8. ოპერა „მფრინავი ჰოლანდიელის" კომპოზიტორი; 10. უბანი სოხუმში; 11. პანტომიმის ძველი ქართული სახელწოდება; 13. უმოტორო თვითმფრინავი; 16. ბატონის მიერ ეკლესიისთვის გადაცემული ყმა ფეოდალურ საქართველოში; 18. ბეჭედში ან ბროშში ჩასმული ორნამენტებიანი თლილი ქვა; 19. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 21. დედამიწის არქტიკული სარტყლის უტყეო, მარადყინულოვანი ზონა; 22. მეტროს სადგური თბილისში; 23. ბუდიზმის ფუძემდებელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

